სს ჰეშ ბანკი

მმართველობის ანგარიშგება 2024

სარჩევი

შესავალი **4**

საქმიანობის მიმოხილვა **5**

ზოგადი ინფორმაცია 6

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 7

რისკები და განუზღვრელობები 10

კორპორაციული მართვის ანგარიშგება **21**

რისკის მართვის სფეროში კოლეგიალური ორგანოების ფუნქციები 22

კორპორაციული მართვის მიმოხილვა 24

შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა 57

არაფინანსური ანგარიშგება **58**

დასაქმების საკითხები და ადამიანის უფლებები 59

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 61

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 63

ბიზნეს მოდელი და სტრატეგია 64

გამოყენებული პოლიტიკების აღწერა 65

ფინანსური ანგარიშგება **67**

შესავალი

ანგარიშის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დაინტერესებულ პირებს გააცნოს და მიაწოდოს ინფორმაცია სს „ჰეშ ბანკის“ („ბანკი“) საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბანკის საქმიანობის მიმოხილვას, კორპორაციული მართვის ანგარიშგებას და არაფინანსურ ანგარიშგებას. მმართველობის ანგარიშგება შეგიძლიათ იხილოთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე: saras.gov.ge.

მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შემოწმდა და დამტკიცდა ბანკის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. აუდიტორებმა დაადასტურეს მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრა.

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

რისკები და განუზღვრელობები

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 ნოემბრის #260 განკარგულების საფუძველზე სს „ჰეშ“-ს მიენიჭა საბანკო საქმიანობის ლიცენზია ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპებზე დაყრდნობით. შესაბამისად, სს „ჰეშ“-ს ნება დაერთო სახელწოდების ცვლილებაზე და ბანკის მითითებაზე იურიდიული პირის დასახელებაში, რაც წარმატებით უზრუნველყო 2023 წლის 22 დეკემბერს.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2024 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით, წერილობითი ინსტრუქციებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ციფრულ ბანკს უფლება მიეცა რეალურ გარემოში განეხორციელებინა საბანკო საქმიანობა და/ან მასთან დაკავშირებული მომსახურება.

ბანკის იურიდიული მისამართია: ვაჟა ფშაველას გამზირი 71, მე-6 სართული, ოფისი 33 ქ. თბილისი 0186.

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023	წ/წ ცვლილება
მოგება/(ზარალი)	(5) მლნ ლარი	(2) მლნ ლარი	*+152% წ/წ*
მთლიანი აქტივები	30 მლნ ლარი	8 მლნ ლარი	*+297% წ/წ*
მთლიანი კაპიტალი	30 მლნ ლარი	8 მლნ ლარი	*+289% წ/წ*
აქტიური კლიენტები	56	—	

მომგებიანობა და ეფექტიანობა

მაჩვენებელი	2024	2023	წ/წ ცვლილება
ROAE	-37%	-33%	*-4% პპ წ/წ*
ROAA	-37%	-33%	*-4% პპ წ/წ*
წმინდა საპროცენტო მარჟა	10%	8%	*+2% პპ წ/წ*

კაპიტალის ადეკვატურობა

მაჩვენებელი	2024	2023	წ/წ ცვლილება
CET1*	75%	23%	*+52% პპ წ/წ*
CAR**	75%	23%	*+52% პპ წ/წ*

**მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 10%; 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 7%*
***მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 13%; 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 11%*

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები





ბანკის 2024 წლის ზარალმა შეადგინა 5.3 მილიონი ლარი, რომელიც გამოწვეული იყო ბანკის ძირითადი საქმინობიდან შემოსავლის არარსებობითა და მაღალი საოპერაციო ხარჯებით. ზარალის მთავარ წყაროს წარმოადგენს პერსონალის და ადმინისტრაციული ხარჯები, რაც უკავშირდება ბანკის საწყის განვითარების ფაზას, ციფრული ინფრასტრუქტურის შექმნასა და საბანკო პროდუქტების წარსადგენ მოსამზადებელ სამუშაოებს.

რაც შეეხება ბანკის ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს, უარყოფითი მომგებიანობის კოეფიციენტები (ROAA, ROAE) ასახავს სტრატეგიულ ინვესტიციებს, რომელთა ხარჯები თავდაპირველად ამცირებს შემოსავალს აქტივებსა და კაპიტალზე თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული ინვესტიციები მიზნად ისახავს ბანკის კონკურენტული უპირატესობისა და ფინანსური მდგრადობის ზრდას.

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საერთო საბანკო კონსოლიდირებულ მაჩვენებლებში, ბანკის მთლიანი აქტივების საბაზრო წილი 0.03%-ს, ხოლო სააქციო კაპიტალის წილი 0.21%-ს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგების თარიღისთვის ბანკს არ გაუცია სესხები იგი ლიდერობს ციფრული ბანკების სამეულში აქტივების მოცულობით, რაც ხაზს უსვამს მის სტრატეგიულ პოზიციონირებას ციფრულ საბანკო ეკოსისტემაში. უფრო მეტიც ბანკმა 2024 წელს დაიწყო კლიენტების საბარათე მომსახურეობა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ ჰქონდა ფილიალები.

2024 წელს ბანკს არ ჰქონია კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები.

2024 წლის განმავლობაში ბანკს არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და აღნიშნული არც მიმდინარე ეტაპზე იგეგმება.

საქმიანობის მიმოხილვა

რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემა წარმოადგენს რისკის და კაპიტალის მართვის ფუნქციების განმახორციელებელი კოლეგიალური ორგანოებისა და ქვედანაყოფების, შიდა დოკუმენტების (მეთოდები, მოდელები), პროცესებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების ერთობლიობას, რომლის მეშვეობით ბანკი უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, რისკების მონიტორინგს და კონტროლს.

რისკების მართვის ჩარჩო მოიცავს ყველა არსებით მიმართულებას და ბანკისთვის მნიშვნელოვანი რისკის მართვის სისტემას. ყველა ამ რისკის მიმართ ფორმირდება (მეთოდოლოგიურად და ორგანიზაციულად) პოლიტიკები და შესაბამისი პროცედურები. რისკების მართვა ბანკში ეფუძნება:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს, სხვა საკანონმდებლო აქტებს, ეროვნული ბანკის ნორმატიულ დოკუმენტებს და მოთხოვნებს;
- საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებს, ასევე ევროპული საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციებს და სტანდარტებს.

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

ბანკის მიერ სამართავი რისკების ძირითადი სახეებია: საბაზრო რისკი; ლიკვიდობის რისკი; საოპერაციო რისკი; საკრედიტო რისკი; შესაბამისობის რისკი; რეპუტაციულ რისკი; სტრატეგიული რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკის ქვეშ მოიაზრება ბანკის ფინანსური შედეგების გაუარესების რისკი აქტივ-პასივების ღირებულების (მოთხოვნების/ვალდებულებების) არახელსაყრელი ცვლილების შედეგად საბაზრო მაჩვენებლების რისკ-ფაქტორების გავლენის გამო (როგორიცაა სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები, საკრედიტო სპრედები და სხვა). რისკ-აპეტიტის მაჩვენებლებს საბაზრო რისკების ნაწილში ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

აღებული საბაზრო რისკის დონის მონიტორინგი ხორციელდება სალიმიტო სისტემის მეშვეობით. ბანკის საბაზრო რისკების მართვაზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფები ვალდებულნი არიან გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები ლიმიტების დასაცავად. ბანკის სავაჭრო ოპერაციების ლიმიტების დაცვის შემდგომი კონტროლი ხორციელდება რისკების/ფინანსების მიმართულების მიერ ყოველი სამუშაო დღის ბოლოს. 2024 წლის განმავლობაში ბანკს საბაზრო რისკები არ გააჩნდა.

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკის მართვა წარმოადგენს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ბანკის მიმდინარე გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად ლიკვიდობის რისკის დონისა და ოპერაციების რენტაბელობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფის პირობებში. ლიკვიდობის რისკის გამოვლენისა და მონიტორინგის პროცედურა, რომლითაც ხელმძღვანელობენ ლიკვიდობის მართვაში ჩართული ბანკის ქვედანაყოფები, მოიცავს ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის პროგნოზირებას და სიტუაციურ მოდელირებას, სხვადასხვა სცენარების ანალიზის გათვალისწინებით გაანგარიშებული ბანკის ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს, შემოდინების და გადინების მოცულობებს შორის შეუსაბამობის გამოვლენის მიზნით, ბანკის ლიკვიდობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საკვანძო შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრას და მონიტორინგს, სახაზინო პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ხარისხზე მოთხოვნების ფორმირებას, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა (Liquidity Coverage Ratio) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (Net Stable Funding Ratio) შესრულების კონტროლს, აქტივებისა და/ან პასივების მართვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებას და რეალიზაციას, ბანკის მიმდინარე და პროგნოზული ლიკვიდობის მდგომარეობის ამსახველი შიდა ანგარიშგების ფორმირებას. ლიკვიდობის რისკის შეზღუდვისთვის დგინდება ნორმატივები/ლიმიტები ლიკვიდობის უკმარისობის და ჭარბი ლიკვიდობის რისკისთვის, ასევე კონცენტრაციის რისკისთვის.

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

ლიკვიდობის რისკის რაოდენობრივი შეფასება ხორციელდება ლიკვიდობის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ლიკვიდობის რისკის შეფასების შედეგები გამოიყენება კლიენტების დავალებით მიმდინარე გადახდების განსახორციელებლად და აღებული ვალდებულებების შესასრულებლად ფულადი სახსრების საკმარისობის კონტროლისათვის; აგრეთვე ბანკის აქტივების პორტფელის გეგმიური ზრდის შესაძლებლობის განსაზღვრისათვის.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მართვისას ბანკი ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებით „კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ“, ბაზელის კომიტეტის მიერ საოპერაციო რისკების მართვის სფეროში მიღებული დოკუმენტებითა და ასევე ბანკის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტებით.

ბანკი საოპერაციო საქმიანობას წარმართავს რისკების მართვის დებულების, საოპერაციო რისკების შეფასების წესის შესახებ დებულების, საოპერაციო რისკისა და შესაბამისობის რისკების მაჩვენებლებზე მონაცემების შეკრებისა და საოპერაციო რისკის ანგარიშგების ფორმირების წესის შესახებ ინსტრუქციის, ბანკის ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკისა და ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ჩარჩო დოკუმენტების შესაბამისად.

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

საოპერაციო რისკის მიზნებიდან გამომდინარე ბანკი უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის დონის თაობაზე ოპერატიული და ობიექტური ინფორმაციის მიღებას; საოპერაციო რისკის დონის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასებას; ბანკის საოპერაციო რისკის ანალიზსა და შეფასებას პროდუქტების, პროცესებისა და სისტემების დონეზე; საოპერაციო რისკის მართვის სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფას, რომელიც პასუხობს ნორმატიულ და საკანონმდებლო მოთხოვნებს საოპერაციო რისკის მართვისა და კონტროლის სფეროში და რისკის მოვლენების რეალიზაციის შედეგების მინიმიზაციას.

ბანკის რისკების მიმართულება უზრუნველყოფს ბანკის საოპერაციო რისკის მართვის სისტემის მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას, საოპერაციო რისკის მართვის ეფექტური ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების მეთოდოლოგიის, პროცედურების შემუშავებას; საოპერაციო რისკის მართვის ნაწილში სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას; ბანკის საოპერაციო რისკის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების, კონტროლისა და ანალიზის სისტემის ორგანიზაციას; ბანკის საოპერაციო რისკის ანალიზს და შეფასებას და საოპერაციო რისკის თაობაზე შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღრული ფუნქციების შესრულებას. ბანკის ქვედანაყოფების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ საოპერაციო რისკის თაობაზე მონაცემების წარდგენის ნამდვილობის, სისრულისა და დროულობის, ასევე საოპერაციო რისკის მინიმიზაციის ღონისძიებების კონტროლს, უზრუნველყოფენ საოპერაციო რისკის მართვის თაობაზე მიღებული ზომების ეფექტურობას და ბანკის ქვედანაყოფების საქმიანობის უწყვეტობის გეგმის მხარდაჭერის კონტროლს.

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახური ეხმარება ბანკის მმართველ ორგანოებს ბანკის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში; უზრუნველყოფს ბანკის შიდა კონტროლის სისტემების, რისკების მართვის, მართვის სისტემების და პროცესების ეფექტურობის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებელი განაჩენების აღსრულების მონიტორინგს.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა (BCP)

ბანკს აქვს თავისი მასშტაბის შესაბამისად ფორმალიზებული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა რომელიც შედგება ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკისა და კრიზისის მართვის ინსტრუქციისგან. ბიზნეს უწყვეტობის მართვა მოიცავს სტანდარტებისა და პროცედურების ერთობლიობას რომელიც მიმართულია საბანკო ბიზნეს პროცესების შენარჩუნების, მათი დროული აღდგენის და უმოკლეს ვადებში აღნიშნული პროცესების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებისკენ, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი მატერიალური ზარალი, თავიდან იქნეს აცილებული როგორც ბაზრის წილის დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, რეპუტაციის შელახვის და სამართლებრივი პასუხისმგებლობების რისკები. ბანკის ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანას წარმოადგენს ბანკის ბიზნესის უწყვეტობის მართვის ღონისძიებების ორგანიზაცია და განხორციელება ბანკის ბიზნესის უწყვეტობისა და აღდგენის

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

უზრუნველყოფის გარანტიის მიზნით, არასტანდარტული ან საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შედეგად, რომელიც შეუძლებელს ხდის ძირითადი ფუნქციების შესრულებას. ბანკის BCP გეგმის მიზანია არასტანდარტული ან საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში ბანკის ქვედანაყოფების /თანამშრომელბის ურთიერთმოქმედების მკაფიო საერთო წესის, ქვედანაყოფების კრიტიკული სახეების აღდგენისა და ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმი დაბრუნების მოქმედებათა წესის განსაზღვრა. ბანკი განსაზღვრავს არასტანდარტული და საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის სცენარების ჩამონათვალს და აღწერას, და მათთან დაკავშირებული ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმის დარღვევის ფაქტორებს, რომელთა მიმართ რეაგირება ხორციელდება ბიზნესის უწყვეტობის მართვის ფარგლებში. BCP გეგმის ფარგლებში ტარდება სისტემების, პროცესების ტესტირებები, რომელთა მიზანია საქმიანობის კრიტიკული სახეების აღდგენა შესაბამისი სცენარების გამოყენებით. ტესტირების ეტაპზე ხდება იმის დადასტურება, რომ საქმიანობის კრიტიკული სახეები შეიძლება აღდგენილ იქნას და ფუნქციონირებდეს შესაბამისი სქემის შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

ბანკის მიერ აღებული საკრედიტო რისკის პროფილი (სტრუქტურა) განისაზღვრება ბანკის საკრედიტო პორტფელის შემადგენლობით. კოლეგიალური ორგანოებისა და თანამდებობის პირების უფლებამოსილება რისკის აღებასთან

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

დაკავშირებით საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციების მიხედვით გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებათა სისტემა, განისაზღვრება წესდებითა და ბანკის შიდა მარეგულირებელი აქტებითა და განკარგულებითი დოკუმენტებით. ბანკის მართვის ორგანოები (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო / დირექტორთა საბჭო, კომიტეტები, უფლებამოსილი პირები) საკრედიტო გარიგებებზე გადაწყვეტილებებს იღებენ ბანკის წესდებითა და ამ ორგანოების დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. ბანკის კოლეგიალური ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღებაზე, მოქმედებენ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რომელიც მოცემულია ამ კოლეგიალური ორგანოების დებულებებში. ბანკის თანამდებობის პირისათვის უფლებამოსილების დელეგირება ფორმდება უფლებამოსილი კოლეგიალური ორგანოს გადაწყვეტილებით.

ბანკის საკრედიტო რისკის შეფასების ძირითად მეთოდებს მიეკუთვნება კლიენტების კრედიტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია საფინანსო და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზისა და ექსპერტული შეფასების შედეგად. ამასთან, კლიენტის (დაკავშირებულ კლიენტთა ჯგუფს) რეიტინგის დონე გაითვალისწინება საკრედიტო გარიგების ფასწარმოქმნის პირობების განსაზღვრის დროს. ბანკის საკრედიტო რისკის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი უნივერსალური მიდგომები (სტანდარტები).

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

იურიდიული რისკი

იურიდიული რისკი წარმოადგენს ისეთ რისკს, რომელიც უკავშირდება მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სხვა სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევას, მათი არასწორი ინტერპრეტაციის ან გამოყენების შედეგად შესაძლო ფინანსური ზარალის, სანქციების, სასამართლო დავების, ლიცენზიის შეჩერების ან რეპუტაციული ზიანის დადგომის ალბათობას. შესაბამისობის რისკის მართვა მოიცავს საკანონმდებლო და საზედამხედველო სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკის მართვას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობისა და მარეგულირებლის რეგულაციების შეუსრულებლობამ. შესაბამისობის რისკი საბანკო რისკების განუყოფელი ნაწილია, როგორიცაა, მაგალითად, კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნასთან, შემოსავლიანი აქტივების ხარისხთან, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვთან და დაკრედიტების ლიმიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის დამახასიათებელი საბაზრო რისკი, წლიური სამუშაო გეგმისთვის და ბანკის ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი და კონკრეტულ დებულებებთან დაკავშირებული სხვა რისკები.

შესაბამისობის რისკის მართვას ახორციელებს ბანკის საკანონმდებლო შესაბამისობის განყოფილება, რომელიც ანგარიშვალდებულია ბანკის იურიდიული დირექტორის წინაშე.

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

რეპუტაციული რისკი

რეპუტაციული რისკი არის რისკი, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით უარყოფითი საჯარო განცხადებების გაკეთება ან ბანკის უარყოფითად წარმოდგენა. რეპუტაციის რისკი ეფუძნება თანამშრომელების, კლიენტების, ზედამხედველებისა და საზოგადოების მხრიდან ბანკის ნდობას. ცალკეულ მოვლენებს შეუძლია შეარყიოსბანკისადმი ნდობა და უარყოფითად იმოქმედოს მის საქმიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკისათვის მნიშვნელოვანია დაცული იყოს ამგვარი შემთხვევებისაგან.

ფინანსური დანაშაულის რისკი

ფინანსური დანაშაულის რისკი მოიცავს ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და საერთაშორისო სანქციებისგან თავის არიდების ხელშეწყობის რისკებს, რომლის დადგომის შემთხვევაში, ბანკს შეიძლება, დაუდგეს სამართლებრივი, მატერიალური ან რეპუტაციული რისკები.

აღნიშნული რისკის მართვა გულისხმობს ისეთი შიდა კონტროლის ისეთი სისტემის, პოლიტიკის, პროცედურების, პროგრამული უზრუნველყოფის და მექანიზმების ჩამოყალიბებას, რომლებიც ბანკის საქმიანობის ხასიათის, მოცულობისა და მასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების პროპორციულია და მოიცავს, მათ შორის, ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რისკზე დამყარებული მიდგომის პრინციპები, მუდმივი მონიტორინგის განხორციელების წესი, დამოუკიდებელი აუდიტის ფუნქცია კონტროლის

საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი რისკები და განუზღვრელობები

არსებითი რისკის ძირითადი სახეები

სისტემის ეფექტიანობის შესამოწმებლად, თანამშრომელთა შერჩევისა და განგრძობითი სწავლების პროგრამა. რისკის მართვის მიზნით, ბანკში შექმნილია სტრუქტურული ერთეული - AML დეპარტამენტი, რომლის მიზანია ბანკში ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და საერთაშორისო სანქციების დარღვევის ფაქტების თავიდან აცილება, შესაბამისობის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება, რისკების იდენტიფიცირება, გაანალიზება, მართვა და შემცირება.

სტრატეგიული რისკი

სტრატეგიული რისკი არის რისკი, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, წარმოშობს ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნეს გადაწყვეტილებები ან ბანკის მიერ რეაგირების არმოხდენა გარე ცვლილებებზე. სტრატეგიული რისკი ასევე არის ბანკის საქმიანობის შედეგების არახელსაყრელი ცვლილების რისკი, ბანკის მართვის პროცესში მცდარი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად, მათ შორის განვითარების სტრატეგიის შემუშავების, დამტკიცებისა და რეალიზაციის დროს, მიღებული გადაწყვეტილებების არასათანადო შესრულება, ასევე გარე ფაქტორების ცვლილებების გაუთვალისწინებლობა. სტრატეგიული რისკის მართვა ბანკში განხორციელდება რეგულარულად, ბანკის მმართველი ორგანოების მიერ განვითარების სტრატეგიის, ბიზნეს-გეგმის ფორმირებისა და მათი გადასინჯვის დროს.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

რისკის მართვის სფეროში კოლეგიალური ორგანოების ფუნქციები

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

რისკის მართვის სფეროში კოლეგიალური ორგანოების ფუნქციები

ლიკვიდობის მართვის პროცესში ბანკის კოლეგიალური ორგანოებსა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფუნქციები და მოვალეობები შემდეგნაირად ნაწილდება:

- ბანკის დირექტორთა საბჭო: ამტკიცებს მარეგულირებელ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს ლიკვიდობის რისკის მართვის ნაწილში.

- ფინანსური მიმართულება:
    - ახორციელებს შესრულების ვადების მიხედვით სამომავლო გადახდებისა და შემოდინებების ჭრილში ბანკის „ნოსტრო“ანგარიშების პოზიციების მართვას და მასზე არსებული ნაშთების კონტროლს, სხვა აქტიური ოპერაციების წარმოებას და აქტიური ოპერაციების დაფინანსებისთავის ფულადი სახსრების ნაკადების ეფექტურ მოზიდვასა და განაწილებას. ასევე ამზადებს ბანკის ლიკვიდური აქტივების მობილიზაციის ღონისძიებათა გეგმას ლიკვიდობის კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში.

    - ამზადებს და წარადგენს ბანკის ლიკვიდობის ყველა სახის მარეგულირებელ ანგარიშგებას რეგულატორის მოთხოვნების შესაბამისად.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

რისკის მართვის სფეროში კოლეგიალური ორგანოების ფუნქციები

- რისკების მიმართულება:
    - შეიმუშავებს ლიკვიდობის რისკის მართვის შესახებ დებულებას, რისკის შეფასების მეთოდოლოგიას და წარადგენს დასამტკიცებლად დირექტორთა საბჭოს სხდომაზე;
    - ამზადებს ანგარიშს ბანკის ლიკვიდობის პროგნოზული მდგომარეობის და მისი ცვლილების სხვადასხვა სცენარის შესახებ ლიკვიდობის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

ბანკის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ბანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ. ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო.

შესაბამისად, ბანკში მმართველი ორგანოები და კომპეტენციები ეფექტურად არის დაბალანსებული. ბანკის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებები, ამოცანები და ვალდებულებულები განსაზღვრულია ბანკის წესდებით, რომლის საბოლოო რედაქცია დამტკიცებულია აქციონერთა საერთო კრების მიერ 2023 წლის 19 დეკემბერს.

ბანკი იცავს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის # 215/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით“, ეთიკის კოდექსით და პროფესიული ქცევის სტანდარტებით და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პრინციპებს, მათ შორის ბანკის ადმინისტრატორები, უმაღლესი მენეჯმენტის წევრები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის აცილება და არ დაუშვან საკუთარი ინტერესების ბანკის ინტერესებზე მაღლა დაყენება ან თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება, ამ მიზნით ბანკში შემუშავებულია ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები, რომლის მეშვეობით ბანკი ხელს უწყობს დაკავშირებული მხარეების იდენტიფიცირების პროცესს და ინტერესთა კონფლიქტის წარმატებულ მიტიგაციას.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

ბანკის წილის მფლობელი აქციონერები

ბანკის აქციების დაყოფილია ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის აქციებად. ჩვეულებრივი კლასის აქცია მის მფლობელს ანიჭებს ხმის უფლებას, ხოლო პრივილეგირებული კლასის აქცია ხმის უფლებას ანიჭებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევაში. ამასთან, პრივილეგირებული აქციის უპირატესობა გამოიხატება დივიდენდის გაცემისას პირველ რიგში პრივილეგირებული წილის მფლობელის მოთხოვნის დაკმაყოფილებით.

ჩვეულებრივი კლასის აქციები: 207,900 აქცია.
პრივილეგირებული კლასის აქციები: 2,100 აქცია.

ბანკის ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის მფლობელი აქციონერები არიან:

ვოლოდიმირ ნოსოვი: 103,950 ჩვეულებრივი კლასის აქციას, სულ ჩვეულებრივი კლასის აქციების 50%;
სულხან პაპაშვილი: 63,409 ჩვეულებრივ კლასის აქცია, სულ ჩვეულებრივი კლასის აქციების 30.5%;
ლაშა პაპაშვილი: 40,541 ჩვეულებრივი კლასის აქცია, სულ ჩვეულებრივი კლასის აქციების 19.5%;
ნანა ქებურია: 2,100 პრივილეგირებული კლასის აქცია, სულ პრივილეგირებული კლასის აქციების 100%;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ჩვეულებრივი კლასის აქციონერთა სტრუქტურა ასე გამოიყურება:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვოლოდიმირ ნოსოვი	50 %	50 %
სულხან პაპაშვილი	30,5 %	30,5 %
ლაშა პაპაშვილი	19,5 %	19,5 %
	100%	100%

ბანკის აქციონერთა საერთო კრება

ბანკის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა მორიგი ან რიგგარეშე კრებების სახით, ხოლო კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება წილის მფლობელ აქციონერებს ეცნობებათ 21 დღით ადრე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე ნახევარი. აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო თარიღისათვის აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებული ყველა აქციონერი უფლებამოსილია დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. საქართველოს

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

კანონმდებლობისა და ბანკის წესდების შესაბამისად, პრივილეგირებული აქციები არ იძლევა ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია უზრუნველყოს: ბანკის წესდების დამტკიცება და შეცვლა; განთავსებული კაპიტალის ცვლილება; სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, ვადამდე გამოწვევა, რაოდენობრივი შემადგენლობის განსაზღვრა, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დადგენა; ბანკის აუდიტის ანგარიშის დამტკიცება, ფინანსური ანგარიშის დამტკიცება და დივიდენდის განაწილება; წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

2024 წლის განმავლობაში ჩატარებულ იქნა აქციონერთა 7 საერთო კრება და აღნიშნულ კრებებზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილულ და გადაწყვეტილ იქნა ბანკის განთავსებული კაპიტალის ცვლილება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ცვლილება.

სამეთვალყურეო საბჭო

ბანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო. წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციაა ეფექტური კორპორაციული მმართველობისა და რისკების მართვის უზრუნველყოფა, მენეჯმენტის მიერ ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულების ზედამხედველობა;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

ბანკის მარეგულირებელ და სამეთვალყურეო მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ბანკის რისკის მადის დადგენა დირექტორთა საბჭოსთან და CRO-სთან კოორდინაციით; საბჭო აგრეთვე აკონტროლებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და აფასებს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს კონტროლის ფუნქციების დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას და ახორციელებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებას მისი გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად. საბჭო ამტკიცებს ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებას და ამოწმებს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების სრულად ინტეგრირებას ბანკის რისკების მართვის ჩარჩოში. საბჭოს სხდომები ემყარება ღია დიალოგის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და წევრებს აქვთ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. გადაწყვეტილებები მიიღება გამჭვირვალედ, ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობს დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ ბანკის რეგულაციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ 2024 წლის განმავლობაში უზრუნველყო 8 სხდომის გამართვა, რომელთა ნაწილი შეეხება ბანკის დირექტორთა საბჭოში ცვლილებებს, მათ შორის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის იმავე გენერალური დირექტორის ცვლილებას. საბჭოს გადაწყვეტილებები და მასთან დაკავშირებული მასალა მუდმივად გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

ცხრილში ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით:

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა	*დამოუკიდებლობის სტატუსი*
ლაშა პაპაშვილი	არადამოუკიდებელი თავმჯდომარე
მერაბ კაკულია	დამოუკიდებელი წევრი
გოჩა მაცაბერიძე	დამოუკიდებელი წევრი
თეონა მაკალათია	არადამოუკიდებელ წევრი
ნანა ქებურია	არადამოუკიდებელ წევრი

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

სამეთვალყურეო საბჭოს ინკლუზიური მრავლფეროვნება

სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფილია გენდერული ინკლუზიურობა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის # 215/04 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ 40% უნდა შედგებოდეს განსხვავებული სქესის (უმცირესობაში მყოფი) წარმომადგენლებისგან. ბანკი 2023 წლიდან აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრიდან 2 წევრი ქალია.

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

"კომერციული ბანკების საქმიანობის" შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომერციული ბანკები, მიუხედავად მათი ზომის, კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებული არიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას სულ მცირე, აუდიტისა და რისკების მართვის კომიტეტები. ბანკის მიერ აღნიშნული ვალდებულება ჯეროვნადაა შესრულებული.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომიტეტი შედგება 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც იმავდროულად არიან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ამასთან, კომიტეტის სამი წევრიდან ორ დამოუკიდებელი წევრია, დამოუკიდებელი წევრი წარმოადგენს კომიტეტის თავმჯდომარეს.

კომიტეტის წევრი ინიშნება 3 წლის ვადით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ორი დამატებითი სამწლიანი ვადით. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია: განსაზღვროს შიდა კონტროლის საკითხებთან მიმართებაში ბანკის მიდგომები და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა; მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს და დაამტკიცოს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებები; მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს ბანკის შიდა და გარე აუდიტორებთან; უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და მათი ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით; განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორების მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარება; განიხილოს და დაამტკიცოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის მასშტაბი და ჩატარების სიხშირე; მიიღოს შიდა აუდიტის ინდივიდუალური შემოწმების შედეგების ამსახველი ანგარიშები და საქმიანობის პერიოდული საანგარიშგებო ინფორმაცია და უზრუნველყოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; მონიტორინგი გაუწიოს ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას; უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის სამართლიანობა, სისრულე და შესაბამის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობა; განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები ბანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და სტრუქტურის თაობაზე;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

რისკების კომიტეტი

რისკები კომიტეტი აუდიტის კომიტეტის მსგავსად წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომიტეტი შედგება 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც იმავდროულად არიან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ამასთან, კომიტეტის სამი წევრიდან ორ დამოუკიდებელი წევრია, დამოუკიდებელი წევრი წარმოადგენს კომიტეტის თავმჯდომარეს.

რისკების კომიტეტი განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე; ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, ყოველწლიურად; მონიტორინგს უწევს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების მართვის დირექტორის საქმიანობას; რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე; მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

და რეპუტაციული რისკები, იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა; განიხილავს სხვადასხვა შესაძლო სცენარებს, მათ შორის, სტრეს სცენარებს, რათა შეაფასოს სხვადასხვა გარე და შიდა მოვლენის გავლენა ბანკის რისკის პროფილზე; მონიტორინგს უწევს კლიენტებისთვის შეთავაზებული მატერიალური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების, მათ შორის, მათი ფასების შესაბამისობას ორგანიზაციის ბიზნეს მოდელთან და რისკის სტრატეგიასთან. რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია, შეაფასოს შეთავაზებულ ფინანსურ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებული რისკები და გაითვალისწინოს ამ პროდუქტებისა და სერვისების ფასის შესაბამისობა მათგან მიღებულ მოგებასთან; აფასებს შიდა და გარე აუდიტორის რეკომენდაციებს და აუდიტის კომიტეტთან თანამშრომლობით მონიტორინგს უწევს შესაბამისი ზომების განხორციელებას;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ბიოგრაფიები:

ლაშა პაპაშვილი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ლაშა პაპაშვილის აკადემიური და პროფესიული კარიერა მჭიდროდაა დაკავშირებული ფინანსურ სექტორსა და ბიზნესის განვითარებასთან. ლაშა პაპაშვილი ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს სამართალმცოდნეობაში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იგი აქტიურად ჩაერთო სამეწარმეო საქმიანობაში.

საბანკო სფეროში მისი საქმიანობა დაიწყო 1996 წელს, როდესაც დაინიშნა სს "ბანკ რესპუბლიკის" ზედამხედველობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1998 წლის მარტში გახდა სს "ბანკ რესპუბლიკის" გენერალური დირექტორი და აკონტროლებდა ბანკის სტრატეგიულ განვითარებასა და ოპერაციულ საქმიანობას. 2002 წლისთვის იგი ხდება ბანკის უმსხვილესი აქციონერი, რითაც კიდევ უფრო განმტკიცდა მისი ხელმძღვანელობითი როლი. 2004 წელს დაინიშნა სს "ბანკ რესპუბლიკის" ზედამხედველობის საბჭოს თავმჯდომარედ.

2006 წელს ლაშა პაპაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ფინანსურ სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, დადო რა რეგიონისათვის უპრეცენდენტო გარიგება Société Générale S.A-სთან — ევროზონის ერთ-ერთ უმსხვილეს საბანკო ჯგუფთან, რომელმაც შეიძინა სს "ბანკ რესპუბლიკის" 60%-იანი წილი.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

გარიგებაში ასევე მონაწილეობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), რომელმაც ბანკის კაპიტალში 10%-იანი წილი შეიძინა. აღნიშნული გარიგება გახდა პირველი და უმნიშვნელოვანესი უცხოური ინვესტიცია საქართველოს ფინანსურ სექტორში ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

2007 წელს ლაშა პაპაშვილმა დააფუძნა დეველოპერული და აქტივების მართვის კომპანია შპს "რედიქსი", რომელიც დღესდღეობით საქართველოში უმსხვილესი ბიზნეს ჯგუფია. ლაშა პაპაშვილის ხელმძღვანელობით კომპანიამ უზრუნველყო პორტფელის დივერსიფიკაცია სტუმარ-მასპინძლობის სექტორში, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის გაფართოებით, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით აქტიური განვითარებით, რაც კომპანიას რეგიონის მასშტაბით ლიდერის პოზიციაზე აყენებს.

2023 წელს ლაშა პაპაშვილი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სს "ჰეში" წილის მფლობელ აქციონერი ხდება, ხოლო 2024 წელს, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის წარმატებით მიღების შემდეგ, ლაშა პაპაშვილი დამტკიცებულ იქნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

გოჩა მაცაბერიძე: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

გოჩა მაცაბერიძე თავისი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის განმავლობაში არაერთხელ იკავებდა მკაცრად რეგულირებულ ბიზნესში სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას. მას ფართო და მრავალმხრივი გამოცდილება აქვს ფინანსურ სექტორში, თუმცა მისი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კერძო სექტორით, იგი წარმოადგენდა მაღალი დონის სახელმწიფო მოხელეს, იკავებდა საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილის პოზიციას.

1988-1991წწ. საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე;
1991-1992წწ. სს „ბანკი რესპუბლიკა“- გენერალური დირექტორი;
1991-2004წწ. სს „ბანკი რესპუბლიკა“- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
2002-2005წწ. სს „სადაზღვევო კომპანია სელბი“ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2005-2006წწ. სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2006-2009წწ სს „ბანკი რესპუბლიკა“- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2018-2022წწ სს „ვითიბი ბანკი საქართველო“ – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2001-დღემდე გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ქართულ-ამერიკული აკადემია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2022-დღემდე სს „ჰეშ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

მერაბ კაკულია სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

მერაბ კაკულია სრულიად გამორჩეული ცოდნისა და გამოცდილების მატარებელია გააჩნია რა ფინანსურ სექტორში უწყვეტი, მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება და აკადემიური ხარისხი. იგი წარმოადგენს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, წლების განმავლობაში იკავებდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას, ხოლო კერძო სექტორში გახლდათ სს „კავკასიის განვითარების ბანკი“-ს და სს „ვითიბი ბანკი საქართველო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რაც ნათელი დემონსტრირებაა, რომ საბანკო სექტორს იცნობს ფუნდამენტურად, როგორც რეგულატორის, ასევე კომერციული ბანკის პერსპექტივიდან.

1987-1991წწ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასისტენტ პროფესორი;
1988-1989წწ. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ეკონომიკის მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების გამგე;
1989-1990წწ. ავსტრიულ ბანკში "ცენტრალურ შპარკასსე უნდ" (**Zentralsparkasse**.ქ. ვენა, ავსტრია) სტაჟიორი;
1992-1993წწ. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი;
1993-2005წწ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი.
2000-2005წწ. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მმართველი საქართველოდან და საერთაშორისო საანგარიშსწორებო სისტემა SWIFT-ის ეროვნული კოორდინატორი (1997-2005);
2002-2004წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი და პროფესორი;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

2005-2010წწ.ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) მთავარ ეკონომიკური ექსპერტი და ჟურნალ "საქართველოს ეკონომიკური ტენდენციების" მთავარ რედაქტორი;
2005წლიდან: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
2013წლიდან: ფინანსური სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის დირექტორი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლის პროფესორი;
2018-2022წწ: სს „ვითიბი ბანკი საქართველო“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;
2020წლიდან დღემდე: სს „საპარტნიორო ფონდი“ (ამჟად: საქართველოს განვითარების ფონდი) რისკების მართვის და ანალიტიკის სამსახურის ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2022წლიდან დღემდე: სს „ჰეშ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

თეონა მაკალათია: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის წევრი

თეონა მაკალათიას მინიჭებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის, მაგისტრის ხარისხი. ასევე, არის დოქტორანტობის კანდიდატი. ამავდროულად, აღრიცხვასა და ბიზნესის საკითხებში ფლობს ლონდონის სერტიფიცირებულ, ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის დიპლომს.

თეონა მაკალათიას ფინანსური სექტორის, კორპორაციული მმართველობის, აღრიცხვა-ანგარიშგების, კონტროლისა და აუდიტის მიმართულებით 20 წლიანი გამოცდილება აქვს, უშუალო სპეციალიზაცია მოიცავს ფინანსური სექტორის ფინანსური აუდიტის და ფინანსური სექტორის მენეჯმენტ კონსალტინგს.

წლების განმავლობაში თეონა საქმიანი ურთიერთობით იყო დაკავშირებული საქართველოს წამყვან საბანკო ინსტიტუტებთან, ასევე, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ნიდერლანდებში. თეონა იყო მსოფლიო ბანკისა და OECD-ის ექსპერტი, ასევე UNDP-ის ბიზნესის განვითარების ექსპერტი. ბოლო წლებში მისი სამუშაო გამოცდილება უკავშირდება საბანკო სექტორის სამეთვალყურეო საბჭოში საქმიანობას.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

2002-2005წწ: საქმიანობდა სხვადასხვა აუდიტორულ კომპანიაში აუდიტორის პოზიციაზე;
2005-2006წწ: შპს „ჯეოვუდი" ფინანსური დირექტორი;
2006-2018წწ: PricewaterhouseCoopers LLC მენეჯერი;
2018-2020წწ: GFA Consulting Group GmbH-ში ექსპერტი;
2018-2019წწ: სი-ეს-ეფ ჯგუფი, გენერალური დირექტორის მოადგილე;
2020-2022წწ: UNDP ბიზნესის განვითარების ექსპერტი;
2020-2022წწ: მსოფლიო ბანკი, ექსპერტი;
2021-2022წწ: სს „პროკრედიტ ბანკი საქართველო" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
2021წლიდან დღემდე: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2023 წლიდან დღემდე: სს „ჰეშ ბანკი" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

ნანა ქებურია - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის წევრი

ნანა ქებურიას გააჩნია 20 წლიანი უნიკალური გამოცდილება ფინანსურ სექტორში, ფინანსური ტექნოლოგიების, გადახდების და ლოიალობის სფეროში.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

მისი კარიერა გამოირჩევა სტრატეგიული ხედვითა, ინოვაციური მიდგომებითა და ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებით. ნანა ქებურია წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოში არაერთი კომერციული ბანკის მნიშვნელოვან ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას ფინანსური სერვისების განმახორციელებელ არაერთ კომპანიაში, სადაც უზრუნველყოფდა ინოვაციების დანერგვას, ოპერაციული პროცესების ეფექტურობას, პროდუქტების განვითარებასა და მომხმარებელთა ცნობადობის ამაღლებას. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, იშვიათი სკრუპულოზურობითა და მეთოდურობით ინოვაციური პროექტების მართვა, ასევე ძლიერი და მოტივირებული გუნდის ფორმირება და ზედამხედველობა.

1996-1998წწ: გაერთიანებულ საფინანსო კომპანია, საოპერაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
1998-2000წწ: სს „აბსოლუტ ბანკი“, საპროცესინგო ცენტრის უფროსი;
2000-2004წწ: სს „ქართუ ბანკი“, საპროცესინგო ცენტრის უფროსი;
2004-2004წწ: სს „სახალხო ბანკი“ საბარათე დეპარტამენტის უფროსი;
2004-2007წწ: სს „ჯორჯიან ქარდი“ დირექტორის მოადგილე;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

2007-2014წწ: სს „ჯორჯიან ქარდი“ აღმასრულებელი დირექტორი;
2014-2016 წწ: შპს „პარსეკი“-ს (Tioto-ს ოფიციალური პარტნიორი საქართველოში) დამფუძნებელი და დირექტორი;
2014-2023 წწ: შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“-ის დირექტორი;
2016-2023 წწ: შპს „ფეი უნიქარდი“-ს დირექტორი;
2022 წლიდან დღემდე: სს „ჰეშ ბანკის“ პრივილეგირებული წილის მფლობელი აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

დირექტორთა საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრი, დირექტორი ვალდებულია საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება დირექტორთა საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობას, ანგარიშვალდებულებას სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების წინაში, შეხვედრებში მონაწილეობას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება-აღსრულებას.

2024 წლის განმავლობაში ბანკის დირექტორთა საბჭო შედგებოდა 4 დირექტორისგან. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იგივე გენერალური დირექტორი.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა

ცხრილში ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით:

დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა	პოზიციის დასახელება/კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულება ბანკში
არმენ მატევოსიანი	გენერალური დირექტორი
ირაკლი ჩახნაშვილი	ფინანსური დირექტორი
გიორგი ჩანადირი	ტექნოლოგიების დირექტორი
გიორგი ქეშელაშვილი	რისკების მართვის დირექტორი

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილება

დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- ბანკის ყოველდღიური ბიზნეს ოპერაციების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის, ბანკის სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს გეგმის, ბიუჯეტის, შიდა ნორმატიული დოკუმენტების და აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებების გადაწყვეტილებების შესაბამისად.
- კორპორაციული სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების შემუშავება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად.
- ბიზნეს გეგმის შემუშავება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად. ასევე, მათი შესრულების ანგარიშის წარდგენა;
- წლიური ბიუჯეტის შემუშავება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად. ასევე, მათი შესრულების ანგარიშის წარდგენა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის და აქციონერთა საერთო კრებაზე ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა ბანკის დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად. ასევე, მათი შესრულების ანგარიშის წარდგენა;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

- სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად იმ გარიგებების წარდგენა, რომლებიც სცილდება კორპორაციული სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს გეგმის და ბიუჯეტის ფარგლებს (არასტანდარტული გარიგებები);
- ყოველდღიური საოპერაციო საბანკო საქმიანობების დამტკიცება, მათ შორის სასესხო სახსრების მოზიდვა, საკრედიტო და სავაჭრო დაფინანსების პროდუქტების გაცემა, სესხის რესტრუქტურიზაციის დამტკიცება, ფიქსირებული აქტივების და არამატერიალური აქტივების შეძენის და გასხვისების, ადმინისტრაციული ხარჯების, ნაღდი ფულის ლიმიტების დამტკიცება, საჯარო კომპანიებში წილობრივი ინვესტიციების განხორციელება.
- ბანკის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნა, რომელიც ბანკის შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უნდა უზრუნველყოფდეს.
- საქართველოს კანონმდებლობით, ბანკის წესებითა და დირექტორთა საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორი ბანკის უმაღლესი აღმასრულებელი პირია. ბანკის აღმასრულებელი მმართველობის მხრიდან ბანკის შიდა ოპერაციებზე, შესაბამისობასა და საქმიანობაზე საბოლოო პასუხისმგებლობა გენერალურ დირექტორს ეკისრება. ამასთან, გენერალური დირექტორი, სხვა ფუნქციებთან ერთად, ასრულებს ბანკის დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამაკავშირებელ ფუნქციას:

გენერალური დირექტორის ძირითადი ამოცანაა ბიზნეს სტრატეგიისა და გეგმების შემუშავება, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად; ბანკის ბიზნეს საქმიანობის და პროცესების მართვა და კონტროლი, კომპანიის სტრატეგიის და მისიის შესრულების უზრუნველსაყოფად; ბანკის ეფექტური მართვა მისი მუდმივი ზრდისა და მომგებიანობის უზრუნველსაყოფად; თანამშრომლების მართვა და მოტივაცია, მათი ჩართულობა და დასახული მიზნის მიღწევა, მოქმედ კანონმდებლობასთან ბანკის შესაფერისობის უზრუნველყოფა.

გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

რისკების მართვის დირექტორი

რისკების მართვის დირექტორი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. რისკების მართვის დირექტორის უპირატესი პასუხისმგებლობაა ბანკის რისკეის მართვა, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შესაბამისობის უზრუნველყოფით, რისკების აღკვეთით, იდენტიფიცირებით, შეფასებით, მიტიგაციით, მონიტორინგითა და ანგარიშგებით.

ტექნოლოგიების დირექტორი

ტექნოლოგიების დირექტორი (CTO) ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. მისი ძირითადი პასუხისმგებლობაა ბანკის ტექნოლოგიური სტრატეგიის განსაზღვრა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება და ციფრული ინოვაციების მართვა. ტექნოლოგიების დირექტორი უზრუნველყოფს ბანკის ტექნოლოგიური პლატფორმების უწყვეტ ფუნქციონირებას, კიბერუსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვას და ბიზნესპროცესების მხარდაჭერას უახლესი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მეშვეობით.

CTO-ს პასუხისმგებლობაში შედის ტექნოლოგიური არქიტექტურის დაგეგმვა და განხორციელება, სისტემების ინტეგრაციის მართვა, მონაცემთა ანალიზის და ავტომატიზაციის ინსტრუმენტების განვითარება, IT-სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და ტექნოლოგიური გუნდის ხელმძღვანელობა. იგი უზრუნველყოფს ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შესაბამისობას ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან, მარეგულირებელ მოთხოვნებთან და

კორპორაციულ ღირებულებებთან. ტექნოლოგიების დირექტორი ასევე აქტიურად მონაწილეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებში და ეხმარება ბიზნესს განავითაროს ახალი პროდუქტები, სერვისები და მომხმარებლის გამოცდილება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ფინანსური დირექტორი

ფინანსური დირექტორი (CFO) ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. ფინანსური დირექტორი სტრატეგიულ ფუნქციას ასრულებს ბანკის საერთო მართვაში. ფინანსურ დირექტორს სხვა ფუნქციებთან ერთად ევალება ყველა ფინანსური და ბექ-ოფისის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობების დაგეგმვის, განხორციელების, მართვის და კონტროლის უპირატესი პასუხისმგებლობა. ეს მოიცავს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან შესაფერისობის უზრუნველყოფას, სახაზინო საქმიანობებს, ფინანსურ ანალიზს, სტრატეგიულ დაგეგმვას და ბიუჯეტირებას, ფინანსურ აღრიცხვას, ინოვაციური პროექტების ხელშეწყობას, მარეგულირებელ ანგარიშგებას, გადასახადებს, ფულადი სახსრების მართვასა და საკორესპონდენტო საბანკო საქმიანობას.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

დირექტორთა საბჭოს წევრთა ბიოგრაფიები

არმენ მატევოსიანი, დირექტორთა საბჭოს წევრი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე/გენერალური დირექტორი

არმენი გამოცდილი საბანკო მენეჯერია, რომელიც 20 წელზე მეტია ხელმძღვანელობს ევროპისა და კავკასიის რეგიონების სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს. ის სპეციალიზებულია საცალო ბანკინგში, ციფრულ ტრანსფორმაციასა და კომერციულ ოპერაციებში. ამჟამად ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის/გენერალური დირექტორის რანგში ხელმძღვანელობს საქართველოს პირველი სრულად ციფრული ბანკის შექმნის პროცესს, მანამდე არმენი იკავებდა ხელმძღვანელ პოზიციებს "TBI ბანკში" (ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი) და სს "ლიბერთი ბანკში" (საქართველო), სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოგების ზრდაში, ინოვაციების დანერგვასა და საოპერაციო საქმიანობის გაძლიერებაში. არმენს აქვს ფართო გამოცდილება მრავალპროფილური გუნდების შექმნასა და მართვაში, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაფერისობის უზრუნველყოფასა და საბანკო სექტორში სტრატეგიული ტრანსფორმაციის ინიციატივების განხორციელებაში.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

განათლება:

მენეჯმენტის ევროპული სკოლა (ESM) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი.

სამუშაო გამოცდილება:

2024 წლიდან დღემდე: სს „ჰეშ ბანკი“ დირექტორთა საბჭოს წევრი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე/გენერალური დირექტორი;
2019-2024წწ: სს „თიბიაი ბანკი” ბულგარეთი, რუმინეთი & საბერძნეთი: კომერციული (გაყიდვების) დირექტორი;

2020-2024წწ: სს „თიბიაი მანი” (TBI Money IFN S.A.არასაბანკო საფინანსო ორგანიზაცია), დირექტორთა
2019-2024წწ: სს „ვივუს. ბგ” (Vivus.bg EOOD), ბულგარეთი, მენეჯერი;
2018-2018წწ: სს „ლიბერთი ბანკი”, დირექტორთა საბჭოს წევრი, საცალო საბანკო საქმიანობის დირექტორი;
2010-2017წწ: სს „ლიბერთი ბანკი”, გენერალური დირექტორის მოადგილე, დირექტორთა საბჭოს წევრი, საცალო საბანკო საქმიანობის დირექტორი;
2009-2009წწ: სს „როსბანკი”, რუსეთის ფედერაცია დირექტორის მოადგილე, საცალო საბანკო პროდუქტები და მარკეტინგის მიმართულებით;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

2009-2009წწ: Société Générale S.A, საფრანგეთი, საერთაშორისო საცალო საბანკო მომსახურების და ფინანსური სერვისების დეპარტამენტი BHFM (დღეის მდგომარეობით - IBFS), ევროპის დეპარტამენტი, შვილობილი ბანკების კოორინატორი;
2008-2009წწ: სს „ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალე", საქართველო, ბანკის დირექტორთა საბჭოს მრჩეველი;
2006-2008წწ: სს „ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალე", საქართველო, კომერციული დირექტორის მოადგილე, საცალო საბანკო საქმიანობა;
2005-2006წწ: სს „ბანკი რესპუბლიკა", შიდა აუდიტის უფროსი;
2003-2005წწ: სს „ბანკი რესპუბლიკა", დირექტორთა საბჭოს წევრი, ფინანსებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი;
1998-2003წწ: შპს „რელკო", საქართველო, გენერალური დირექტორი;
1997-1998წწ: მსოფლიო ბანკის CERMA, საქართველო, მთავარი ბუღალტერი;

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

გიორგი ჩანადირი, დირექტორთა საბჭოს წევრი, ტექნოლოგიების დირექტორი

განათლება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, ბაკალავრის ხარისხი ინფორმატიკაში.

სამუშაო გამოცდილება:

2024 წლიდან დღემდე: სს „ჰეშ ბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრი, ტექნოლოგიების დირექტორი;
2022-2024წწ: სს „ჰეშ ბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრი.
2021-2022წწ: სს „პაშა ბანკი საქართველო"-ს დირექტორთა საბჭოს წევრი, ინფორმაციული ტექნოლოგიების და საოპერაციო დირექტორი;
2020-2021წწ: სს „პაშა ბანკი საქართველო"-ს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საბანკო სისტემების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
2017-2020წწ: შპს „ფეი უნიქარდის" ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსი;
2010-2012წწ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

გიორგი ქეშელაშვილი, დირექტორთა საბჭოს წევრი, რისკების მართვის დირექტორი

განათლება:

თბილისის არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტი, ბაკალავრის ხარისხი წარმოების ეკონომიკასა და მენეჯმენტში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსტეტში, ბაკალავრის ხარისხი ფიზიკაში, მიკროპროცესორულ სისტემებში.

სამუშაო გამოცდილება:

2022 წლიდან დღემდე სს „ჰეშ ბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრი და რისკების მართვის დირექტორი;
2019-2022წწ: შპს „ფეი უნიქარდის" გენერალური დირექტორის მოადგილე.
2013-2016წწ: შპს „ექსპრესს ტექნოლოჯის" გენერალური დირექტორი.
2009-2013წწ: სს „საქართველოს ბანკის" ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი.
2004-2008წწ: სს „ჯორჯიან ქარდის" გენერალური დირექტორი.
2003-2004წწ: სს „სახალხო ბანკი" გენერალური დირექტორის მოადგილე.
2002-2003წწ: სს „ინტელექტბანკის" ცენტრალური ფილიალის მმართველი, დირექტორთა საბჭოს წევრი.
1995-2002წწ: სს „თბილუნივერსალ ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის მიმოხილვა

ირაკლი ჩახნაშვილი, დირექტორთა საბჭოს წევრი, ფინანსური დირექტორი

განათლება:
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში, ფინანსებისა და დაკრედტების სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

2023 წლიდან დღემდე სს „ჰეშ ბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრი და ფინანსური დირექტორი;
2012-2023წწ: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილე.
2008-2012წწ: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მთავარი ბუღალტრის მოადგილე.
2005-2008წწ: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განყოფილების უფროსი.
2000-2005წწ: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ანგარიშგების მენეჯერი.
1999-2000წწ: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აღრიცხვის მენეჯერი.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

შიდა აუდიტის სამსახური ეხმარება ბანკის მმართველ ორგანოებს ბანკის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში; უზრუნველყოფს ბანკის შიდა კონტროლის სისტემების, რისკების მართვის, მართვის სისტემების და პროცესების ეფექტურობის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებელი განაჩენების აღსრულების მონიტორინგს; ქვედანაყოფი უზრუნველყოფს ბანკის საოპერაციო რისკის მართვის სისტემის მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას, საოპერაციო რისკის მართვის ეფექტური ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების მეთოდოლოგიის, პროცედურების შემუშავებას; საოპერაციო რისკის მართვის ნაწილში სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას; ბანკის საოპერაციო რისკის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების, კონტროლისა და ანალიზის სისტემის ორგანიზაციას; ბანკის საოპერაციო რისკის ანალიზს და შეფასებას და საოპერაციო რისკის თაობაზე შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღრული ფუნქციების შესრულებას. ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ საოპერაციო რისკის თაობაზე მონაცემების წარდგენის ნამდვილობის, სისრულესა და დროულობის, ასევე საოპერაციო რისკის მინიმიზაციის ღონისძიებების რეალიზაციის კონტროლს, უზრუნველყოფენ საოპერაციო რისკის მართვის თაობაზე მიღებული ზომების ეფექტურობას და ბანკის ქვედანაყოფების საქმიანობის უწყვეტობის გეგმის აქტუალურ მდგომარეობაში მხარდაჭერის კონტროლს.

არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმების საკითხები და ადამიანის უფლებები

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

გამოყენებული პოლიტიკების აღწერა

#არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმების საკითხები და ადამიანის უფლებები

ბანკში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 92 თანამშრომელს, აქედან 45 მამრობითი და 47 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. ორგანიზაციაში გენდერული თანასწორობაა, თანაბარი მოპყრობა დასაქმებასა და პროფესიულ სფეროში. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე მყოფი 7 პირიდან 6-ზე დასაქმებულია მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრიდან - 2 არის ქალბატონი.

დასაქმების პროცესში ბანკი ხელმძღვანელობს შრომის კანონმდებლობით და საერთაშორისო ნორმებით და რეკომენდაციებით. დაინტერესებულ პირებს აქვთ თანაბარი უფლება, გამოავლინონ დასაქმების სურვილი, რომელიც არ ზღუდავს მათ მონაწილეობა მიიღონ შერჩევის პროცესში, თუ ისინი თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით აკმაყოფილებენ გამოქვეყნებულ მოთხოვნებს.

ბანკი აფინანსებს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობის კერძო დაზღვევას ერთნაირი ოდენობით და სრულად ფარავს საბაზისო პაკეტის ღირებულებას, როგორც სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისთვის, ასევე არამენეჯერული პოზიციებისთვის. ბანკი მხარს უჭერს და ხელს უწყობს თანამშრომლებს ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას და ასევე ახორციელებს სოციალური დახმარებას თანამშრომლების მხარდასაჭერად.

არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმების საკითხები და ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვა ბანკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია. ბანკი ზედმიწევნით იცავს თანამშრომლების თანასწორობის პრინციპებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ბანკში არსებული შიდა პროცედურები სრულ შესაბამისობაშია ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან. სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე მოხდება სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება, ხოლო დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ბანკი უზრუნველჰყოფს შესაბამისი ზომების მიღებას და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრას, მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

არაფინანსური ანგარიშგება

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ბანკი საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით. ბანკი მოწოდებულია საკუთარი ბიზნეს საქმიანობა წარმართოს ეთიკის უმაღლესი სტანდარტების, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული რეგულაციების მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

ბანკი არის სრულად შეუწყნარებელი მექრთამეობისა და კორუფციის მიმართ. ბანკის პოლიტიკა ეწინააღმდეგება ქრთამის შეთავაზებას, გადახდას, მოთხოვნას, წახალისებას ან/და აღებას, ასევე ქრთამის შეთავაზების ან გადახდის ნებისმიერი ფორმით სტიმულირებას ან/და მხარდაჭერას.

ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი მოწოდებულია დაამკვიდროს კულტურა, რომლის ფარგლებშიც მკაცრად აკრძალული და მიუღებელია მექრთამეობა და კორუფცია.

ზემოაღნიშნული მიზნით ბანკს შემუშავებული აქვს მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მთავარი მიზანია აკრძალოს როგორც ქრთამის შეთავაზება და გადახდა, ისე მისი დაპირება (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნა, აღება, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერა, წახალისება ან პროვოცირება ნებისმიერი ფორმით.

#არაფინანსური ანგარიშგება

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ასევე, ბანკში არსებობს შესაბამისი წესები რითიც რეგულირდება მომხმარებლის, პარტნიორის, მომწოდებლის ან ბანკის რაიმე ტიპის მომსახურებით დაინტერესებული სხვა ნებისმიერი გარე პირისგან საჩუქრის მიღების პრინციპები.

ბანკი კორუფციულ რისკებს ასევე აკონტროლებს შესყიდვების პროცესშიც. ბანკის შესყიდვები ხორციელდება ბანკში შემუშავებული შესყიდვების პროცედურის სრული დაცვით, რომლის შედეგადაც გადაწყვეტილება მიიღება მიმწოდებლის შესწავლის, ინტერესთა კონფლიქტის ან/და კორუფციული რისკების გამოვლენის და აღმოფხვრის საფუძველზე.

არაფინანსური ანგარიშგება

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ბიზნეს ლიდერები აღიარებენ, რომ აქციონერების მიმართ მაქსიმალური მოგების მიღების პასუხისმგებლობის მიღმა, მათ აქვთ პასუხისმგებლობა მათ გარშემო არსებული საზოგადოების, გარემოს, პლანეტის მიმართ. ბანკის მიერ მომხმარებელთა პირადი ინფორმაციის და მათი აქტივების დაცულობაზე, ასევე მომხმარებელთა ფინანსურ ინკლუზიურობაზე პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ინვესტიციებია გათვალისწინებული ბანკის აქციონერთა მიერ კიბერ და აიტი უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

ბანკი, როგორც ციფრული ფინანსური ინსტიტუტი ყოველმხრივ ხელს უწყობს „უქაღალდო“და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას და გავრცელებას. ბანკი აციფრულებს კონტრაქტებსა და განაცხადებს, გადახდისა და გადარიცხვის ჩეკებს, ხელმოწერებს და აბსოლუტურად ავტომატიზებულ, ფურცლის გარეშე მომსახურების დანერგვით გაიმყარებს სოციალურად პასუხისმგებელი ინსტიტუციის იმიჯს. ასევე სამომავლოდ გეგმავს ბუნებრივად დეგრადირებადი საბანკო ბარათების ემისიას. ამ ეტაპზე ბაკი აგრძელებს მუშაობას ESG სტრატეგიის შემუშავებაზე.

ბანკის ეთიკური პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს სამართლიანად და ეთიკურად საქმიანობას. ბანკი მიზნად ისახავს ეთიკურად მოქცევას ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის ხელმძღვანელობის, ინვესტორების, თანამშრომლების, მომწოდებლებისა და მომხმარებლების მიმართ სამართლიანი მოპყრობის გზით.

არაფინანსური ანგარიშგება

ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

ბანკი ფოკუსირებულია სრულად ციფრული, მასშტაბირებადი და მომხმარებელზე ორიენტირებული საბანკო პლატფორმის ჩამოყალიბებაზე საქართველოში. ბანკის სტრატეგია ემყარება სტაბილური ყოველდღიური საბანკო მომსახურებების - მათ შორის გადახდების, სამომხმარებლო და მიკროსესხების გაცემის, დეპოზიტების მოზიდვის, ასევე სავალუტო ოპერაციების - მიწოდებას, მაღალი ავტომატიზაციისა და ოპერაციული ეფექტიანობის დონით.

ამასთან ერთად, ბანკი ავითარებს ინოვაციურ ფინანსურ პროდუქტებს, სადაც ასევე ხელმისაწვდომი იქნება ციფრულ აქტივებთან დაკავშირებული მომსახურება, ბანკებისათვის კანონით დადგენილი წესების დაცვით. ბანკის მიზანია მდგრადი საცალო საბანკო ბიზნეს მოდელის შექმნა, რაც უზრუნველყოფს რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას, ფინანსურ სტაბილურობას და გრძელვადიანი ღირებულების შექმნას დაინტერესებული მხარეებისთვის. ბანკის სამომავლო გეგმები ითვალისწინებს ეტაპობრივ გაფართოებას შერჩეულ რეგიონალურ ბაზრებსა და ევროკავშირში, საზედამხედველო ნებართვებისა და საბაზრო პირობების გათვალისწინებით. ასევე კაპიტალის ზრდას და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარებას, რაც მიმართულია მასშტაბური ოპერაციული განვითარებისკენ და სტაბილური ფინანსური მოდელის შექმნისკენ.

არაფინანსური ანგარიშგება

გამოყენებული პოლიტიკების აღწერა

- **მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა** - პოლიტიკის ფარგლებში მკაცრად აკრძალული და მიუღებელია ნებისმიერი სახის მექრთამეობა ან/და კორუფცია. აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება ბანკის ნებისმიერ დასაქმებულზე, უმაღლესი რგოლის მენეჯერზე, მმართველი ორგანოს წევრზე, აქციონერზე და მათთან დაკავშირებულ პირებზე, ნებისმიერ პირზე, რომელსაც განზრახული აქვს ბანკის მომსახურებით/პროდუქტებით სარგებლობა ან/და რომელიც სარგებლობს საბანკო პროდუქტით/ბანკის მომსახურებით, ნებისმიერ პირზე, რომელიც წარმოადგენს ბანკის კონტრაქტორ პირს ან/და რომელსაც ბანკთან გაფორმებული აქვს ნებისმიერი სახის თანამშრომლობის ხელშეკრულება.
- **ბიზნეს პროცესებზე გავლენების ანალიზი (BIA)** - დოკუმენტში ასახულია ბანკის ბიზნეს პროცესებზე გავლენების ანალიზი (BIA), მოყვანილია რეაგირების მეთოდები და რეკომენდაციები ბანკის მდგრადი და უწყვეტი ფუნქციონირების მიზნით.
- **ეთიკის კოდექსი** - დოკუმენტი ადგენს ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული სტანდარტების ჩარჩოს. ბანკის აქციონერები, ადმინისტრატორები და თანამშრომლები, რომლებიც ჩართულნი არიან საბანკო საქმიანობის განხორციელებაში (კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები) უნდა ხელმძღვანელობდნენ წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ფუნდამენტური პრინციპებითა და სტანდარტებით. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ და სავალდებულო პირობას საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობის განხორციელებისას.
- **შესყიდვების პროცედურა** - აღნიშნული პროცედურა არეგულირებს და განსაზღვრავს ბანკში შესყიდვის განხორციელებისთვის სავალდებულოდ შესასრულებელ წესებსა და პროცედურებს.

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (მათ შორის დამოუკიდებელი დირექტორები) ერთბლივად ადასტურებენ მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

არმენ მატევოსიანი	ლაშა პაპაშვილი
გენერალური დირექტორი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

7 მაისი 2025 წ.

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (მათ შორის დამოუკიდებელი დირექტორები) ერთბლივად ადასტურებენ მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.



არმენ მატევოსიანი	ლაშა პაპაშვილი
გენერალური დირექტორი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

7 მაისი 2025 წ.

ფინანსური ანგარიშგება

სს “ჰეშ ბანკი”

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა i

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 2

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის 4

1. ზოგადი ინფორმაცია 5

2. საქართველოს ბიზნეს გარემო 5

3. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა 5

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძვლები 5

3.2. ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები 6

3.4 სააღრიცხვო პოლიტიკა 7

4. ფული და ფულის ეკვივალენტები 15

5. მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ 16

6. ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით 17

7. ძირითადი საშუალებები 17

8. არამატერიალური აქტივები 18

9. გადასახადები 18

10. სხვა აქტივები და ვალდებულებები 20

11. საწესდებო კაპიტალი 20

12. საპროცენტო შემოსავალი 21

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 22

14. პირობითი ვალდებულებები 22

15. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 23

16. ფინანსური რისკების მართვა 24

17. კაპიტალის მართვა 28

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 29

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ჰეშ ბანკის“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ჰეშ ბანკის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ასახულია 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

2025 წლის 7 მაისი

არესემ საქართველო

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტზა

(Reg. # SARAS-A-577214)

RSM

RSM Georgia

85, Z. Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T: +995 (32) 255 88 99
Email: mail@rsm.ge

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „ჰეშ ბანკის“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ჰეშ ბანკის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ასახულია 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

RSM Georgia LLC. is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm, which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

2025 წლის 7 მაისი

არესემ საქართველო

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტზა

(Reg. # SARAS-A-577214)

RSM Georgia

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 24	31 დეკემბერი 23
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	269,903	4,115,661
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	5	16,858,788	1,537,979
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით	6	6,067,389	-
ძირითადი საშუალებები	7	1,195,042	472,000
არამატერიალური აქტივები	8	3,650,881	873,459
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	947,972	533,890
სხვა აქტივები	10	1,202,398	50,998
სულ აქტივები		**30,192,373**	**7,583,987**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ		6,432	-
საგადასახადო ვალდებულებები		10,987	622
სხვა ვალდებულებები	10	573,290	12,882
სულ ვალდებულებები		**590,709**	**13,504**
საწესდებო კაპიტალი	11	37,074,100	9,707,500
გაუნაწილებელი მოგება		(7,472,436)	(2,137,017)
სულ კაპიტალი		**29,601,664**	**7,570,483**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**30,192,373**	**7,583,987**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 7 მაისს

არმენ მატევოსიანი	გენერალური დირექტორი	_____
ირაკლი ჩახნაშვილი	ფინანსური დირექტორი	_____

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 24	31 დეკემბერი 23
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	269,903	4,115,661
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	5	16,858,788	1,537,979
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით	6	6,067,389	-
ძირითადი საშუალებები	7	1,195,042	472,000
არამატერიალური აქტივები	8	3,650,881	873,459
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	947,972	533,890
სხვა აქტივები	10	1,202,398	50,998
სულ აქტივები		**30,192,373**	**7,583,987**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ		6,432	-
საგადასახადო ვალდებულებები		10,987	622
სხვა ვალდებულებები	10	573,290	12,882
სულ ვალდებულებები		**590,709**	**13,504**
საწესდებო კაპიტალი	11	37,074,100	9,707,500
გაუნაწილებელი მოგება		(7,472,436)	(2,137,017)
სულ კაპიტალი		**29,601,664**	**7,570,483**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**30,192,373**	**7,583,987**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 7 მაისს

არჩილ მატეევოსიანი — გენერალური დირექტორი

ირაკლი ჩახნაშვილი — ფინანსური დირექტორი

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო შემოსავალი	12	989,728	324,303
საპროცენტო ხარჯი		(66)	
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**989,662**	**324,303**
საკომისიო შემოსავალი		606	-
საკომისიო ხარჯი		(262,198)	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ანგარიშგების გადაფასებიდან		5,078	(16,116)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	13	(6,404,924)	(2,916,611)
რეზერვი/(აღდგენა) ფინანსური აქტივების, სესხების გარდა		(66,970)	-
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		(10,756)	-
არასაპროცენტო ხარჯები		**(6,739,164)**	**(2,932,727)**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(5,749,502)**	**(2,608,424)**
მოგების გადასახადი	9	414,083	533,890
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ		**(5,335,419)**	**(2,074,534)**
სხვა სრული შემოსვალი		-	-
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		**(5,335,419)**	**(2,074,534)**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 7 მაისს

არმენ მატევოსიანი	გენერალური დირექტორი	_____
ირაკლი ჩახნაშვილი	ფინანსური დირექტორი	_____

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო შემოსავალი	12	989,728	324,303
საპროცენტო ხარჯი		(66)	
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**989,662**	**324,303**
საკომისიო შემოსავალი		606	-
საკომისიო ხარჯი		(262,198)	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ანგარიშგების გადაფასებიდან		5,078	(16,116)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	13	(6,404,924)	(2,916,611)
რეზერვი/(აღდგენა) ფინანსური აქტივების, სესხების გარდა		(66,970)	-
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		(10,756)	-
არასაპროცენტო ხარჯები		**(6,739,164)**	**(2,932,727)**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(5,749,502)**	**(2,608,424)**
მოგების გადასახადი	9	414,083	533,890
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ		**(5,335,419)**	**(2,074,534)**
სხვა სრული შემოსვალი		-	-
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		**(5,335,419)**	**(2,074,534)**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 7 მაისს

არმენ მატევოსიანი	გენერალური დირექტორი	
ირაკლი ჩახნაშვილი	ფინანსური დირექტორი	

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**11**	**5,210,000**	**(62,483)**	**5,147,517**
საწესდებო კაპიტალის ზრდა		4,497,500	-	4,497,500
სხვა სრული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში		-	(2,074,534)	(2,074,534)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**11**	**9,707,500**	**(2,137,017)**	**7,570,483**
საწესდებო კაპიტალის ზრდა		27,366,600	-	27,366,600
სხვა სრული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში		-	(5,335,419)	(5,335,419)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**11**	**37,074,100**	**(7,472,436)**	**29,601,664**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 7 მაისს

არმენ მატევოსიანი	გენერალური დირექტორი	_____
ირაკლი ჩახნაშვილი	ფინანსური დირექტორი	_____

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**11**	**5,210,000**	**(62,483)**	**5,147,517**
საწესდებო კაპიტალის ზრდა		4,497,500	-	4,497,500
სხვა სრული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში		-	(2,074,534)	(2,074,534)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**11**	**9,707,500**	**(2,137,017)**	**7,570,483**
საწესდებო კაპიტალის ზრდა		27,366,600	-	27,366,600
სხვა სრული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში		-	(5,335,419)	(5,335,419)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	37,074,100	(7,472,436)	29,601,664

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 7 მაისს

არმენ მატევოსიანი	გენერალური დირექტორი	
ირაკლი ჩახნაშვილი	ფინანსური დირექტორი	

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე:		**(5,749,502)**	**(2,608,424)**
კორექტირებები:			
ფინანსური აქტივების გაუფასურება		77,828	-
ცვეთა და ამორტიზაცია	7	236,472	86,232
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		577	-
(ზარალი)/ მოგება უცხოური ვალუტით ვაჭრობ		(5,078)	16,116
საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივების და ვალდებულების ცვლილებამდე ცვლილებებამდე		**(5,439,703)**	**(2,506,076)**
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:			
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში		10,366	687
(ზრდა)/შემცირება სხვა აქტივებში		(1,152,884)	159,584
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:			
ზრდა/(შემცირება) ვალდებულებებში მომხმარებლებთან		6,432	-
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში		560 408	(4,264)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**(6,015,381)**	**(2,350,069)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,015,381)**	**(2,350,069)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალურ აქტივების შეძენა		(450,313)	-
კაპიტალური დანახარჯები არამატერიალურ აქტივებზე		(2,350,760)	(873,459)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(936,440)	(551,664)
ზრდა მოთხოვნებში ფინანსური დაწესებულების მიმართ		(15,375,843)	3,140,229
ზრდა ინვესტიციებში ამორტიზირებული ღირებულებით		(6,088,699)	-
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული/(საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(25,202,055)**	**1,715,106**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის წმინდა ცვლილება	11	27,366,600	4,497,500
საფინანსო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**27,366,600**	**4,497,500**
ფული და ფულის ეკვივალენტები			
საკურსო სხვაობის ეფექტი		5,078	(265)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**(3,845,758)**	**3,862,272**
1 იანვრის მდგომარეობით		**4,115,661**	**253,389**
31 დეკემბრის მდგომარეობით		**269,903**	**4,115,661**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 7 მაისს

არმენ მატევოსიანი	გენერალური დირექტორი	_____
ირაკლი ჩახნაშვილი	ფინანსური დირექტორი	_____

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე:		**(5,749,502)**	**(2,608,424)**
კორექტირებები:			
ფინანსური აქტივების გაუფასურება		77,828	-
ცვეთა და ამორტიზაცია	7	236,472	86,232
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		577	-
(ზარალი)/ მოგება უცხოური ვალუტით ვაჭრობ		(5,078)	16,116
საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივების და ვალდებულების ცვლილებამდე ცვლილებებამდე		**(5,439,703)**	**(2,506,076)**
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:			
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში		10,366	687
(ზრდა)/შემცირება სხვა აქტივებში		(1,152,884)	159,584
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:			
ზრდა/(შემცირება) ვალდებულებებში მომხმარებლებთან		6,432	-
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში		560 408	(4,264)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**(6,015,381)**	**(2,350,069)**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,015,381)**	**(2,350,069)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალურ აქტივების შეძენა		(450,313)	-
კაპიტალური დანახარჯები არამატერიალურ აქტივებზე		(2,350,760)	(873,459)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(936,440)	(551,664)
ზრდა მოთხოვნებში ფინანსური დაწესებულების მიმართ		(15,375,843)	3,140,229
ზრდა ინვესტიციებში ამორტიზირებული ღირებულებით		(6,088,699)	-
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული/(საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(25,202,055)**	**1,715,106**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის წმინდა ცვლილება	11	27,366,600	4,497,500
საფინანსო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**27,366,600**	**4,497,500**
ფული და ფულის ეკვივალენტები			
საკურსო სხვაობის ეფექტი		5,078	(265)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**(3,845,758)**	**3,862,272**
1 იანვრის მდგომარეობით		**4,115,661**	**253,389**
31 დეკემბრის მდგომარეობით		**269,903**	**4,115,661**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 7 მაისს

არმენ მატევოსიანი — გენერალური დირექტორი

ირაკლი ჩახნაშვილი — ფინანსური დირექტორი

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ჰეშ ბანკი“ იურიდიულ პირად რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით – 405555359 და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. (დაფუძნდა 2022 წლის 17 აგვისტოს).

2023 წლის 3 ნოემბერს კომპანიამ მიიღო პირობითი საბანკო საქმიანობის ლიცენზია საქართველოს ეროვნული ბანკისგან, ციფრული ბანკის პრინციპების გათვალისწინებით. ეროვნული ბანკის 2024 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების მიხედვით, ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებების გათვალისწინებით, ციფრულ ბანკს აქვს უფლება განახორციელოს საბანკოს საქმიანობები/სერვისები რეალურ გარემოში, საქართველოს კანონის „კომერციული ბანკის საქმიანობაზე“ პირველი პარაგრაფის მე-20 მუხლის მიხედვით.

2025 წლის 21 მარტის წერილის თანახმად, ბანკის ამჟამად იმყოფება მე-3 ფაზაში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი N71.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს 92 თანამშრომელი (2023: 33). თუმცა თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 71 თანამშრომელს (2023: 26).

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები წარმოდგენილია შემდეგნაირად: ვოლოდიმირ ნოსოვი, სულხან პაპაშვილი და ლაშა პაპაშვილი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 11.

2. საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას განახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომუკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს სტანდარტები”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

3.2. ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ მიიღო ყველა ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ და სავალდებულოა მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისთვის. კომპანიის მიერ ამ ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ზეგავლენა ჯერ არ არის შეფასებული.

ყველა ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, ნაადრევად არ იქნა მიღებული.

ქვემოთ მოცემული ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის და გამოყენებულია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში:

1. **IAS 1-ის ცვლილებები: ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე**

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: აღნიშნული ცვლილებები აზუსტებს კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, აქცენტით იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებობს.

2. **IFRS 16-ის ცვლილებები: იჯარის ვალდებულება გაყიდვა-გაქირავების ოპერაციაში**
   - ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
   - მოკლე აღწერა: აღნიშნული ცვლილებები განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს იჯარის ვალდებულება და როგორ უნდა აღიაროს კომპანიამ ნებისმიერი მოგება ან ზარალი გაყიდვა-გაქირავების ოპერაციაში.
3. **IAS 12-ის ცვლილებები: გადავადებული გადასახადი აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიქმნება ერთიან ტრანზაქციაში**
   - ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
   - მოკლე აღწერა: ცვლილებები ზღუდავს IAS 12-ის გათავისუფლების სფეროს, რაც კომპანიებს ავალდებულებს, აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც იწვევს თანაბარი ოდენობის დაბეგვრად და გამოსაკლებ დროებით სხვაობებს.

სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ არ ძალაში შესული

ქვემოთ მოცემული ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, მაგრამ ძალაში არ არის შესული 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის. კომპანიას არ გამოუყენებია აღნიშნული სტანდარტები და მიმდინარე ეტაპზე აფასებს მათ გავლენას მომავალ ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

4. **IFRS 18: ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება**
   - ძალაში შესვლის თარიღი: 2027 წლის 1 იანვარი
   - მოკლე აღწერა: IFRS 18 შემოაქვს ახალი კატეგორიები და შუალედური მაჩვენებლები მოგებისა და ზარალის ანგარიშში და ავალდებულებს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ფინანსური მაჩვენებლების გამჟღავნებას.
5. **IAS 21-ის ცვლილებები: გაცვლის შეუძლებლობა**
   - ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი
   - მოკლე აღწერა: ცვლილებები განსაზღვრავს, როგორ უნდა შეაფასოს სუბიექტმა, შესაძლებელია თუ არა ვალუტის გაცვლა, და საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუ გაცვლა შეუძლებელია.
6. **IFRS 9-ისა და IFRS 7-ის ცვლილებები: ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტები**
   - ძალაში შესვლის თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

მოკლე აღწერა: ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი მოხმარებისთვის“ მოთხოვნების გამოყენებას და საშუალებას აძლევს გარკვეულ კონტრაქტებს, დაექვემდებარონ ჰეჯირებისა და აღრიცხვის წესებს.

3.4 სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ინტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცი ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

ა) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება შემდგომ შეფასებით კატეგორიებში:

- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან
- შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული

სტანდარტის მოთხოვნები კლასიფიკაციისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და
ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- **ამორტიზირებული ღირებულება:** ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი" ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- **რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:** ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა, და არ არის აღიარებული როგორც „რეალური ღირებულება მოგება ზარალში ასახვით" კატეგორიაში. ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც

აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი". საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით:** აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღირცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;

- ფულის დროით ღირებულებას და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღირარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესახ ხედება შემდეი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არა ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ", გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულები და სასესხო ვალდებულებები.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება იმ თანხის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც საჭიროა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთი განაკვეთის გამოყენებით, სადაც გათვალისწინებულია საბაზრო შეფასებების მიხედვით ფულის ღირებულება დროში და კონკრეტული ვალდებულების შესაბამისი რისკები. ანარიცხების ზრდა დროის გასვლის შედეგად აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხები არ აღიარდება მომავალი საოპერაციო ხარჯებისთვის. პირობითი აქტივები და ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საწყისად აღირიცხება ფუნციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსების გამოყენებით ოპერაციის თარიღისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის, გადაყვანილია ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული კურსების გამოყენებით. კურსთაშორისი სხვაობის შედეგები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306	3.5349
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753	3.4228
საშუალო გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.7208	2.9440	3.4800
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.6279	2.8416	3.2706

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურეობის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

კომპიუტერული აღჭურვილობა	17-25 %
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	17 %
კომუნიკაციის საშუალებები	17 %

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივბეი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან

დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დამატებითი ხარჯები, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან, აისახება კაპიტალში უარყოფითი ნიშნით, გადასახადების გამოკლებით. დადებითი სხვაობა გამოშვებული აქციის სანაცვლოდ მიღებული თანხის სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მენეჯმენტის მიერ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას მოახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. კომპანიის მენეჯმენტმა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების განსაზღვრისთვის გამოიყენა შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი დაშვებები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ფასს 9-ის მიხედვით კლიენტებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა მოითხოვს განსჯას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადებისა და უზრუნველყოფილი ქონების ღირებულების ოდენობის და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას.

ეს შეფასებები განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს რეზერვების სხვადასხვა დონე. კომპანიის რეზერვები გამოთვლება კომპლექსური მოდელების გამოყენების შედეგად, რომელსაც აქვს მრავალი ძირითადი დაშვება შესაყვანი ცვლადის არჩევასთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებებთან დაკავშირებით.
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელი ასევე მოიცავს სააღრიცხვო შეფასებებსა და დაშვებებს:

- კომპანიის კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, იყო თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და, შესაბამისად, ფინანსური აქტივების რეზერვები უნდა შეფასდეს LTECL - ის და ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე.
- ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როდესაც მათი ECL ფასდება კოლექტიურ საფუძველზე;
- ECL მოდელების შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულები და შესაყვანი ცვლადების არჩევა. მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა (CPI ინდექსი, მონიტორინგის პოლიტიკის განაკვეთი და მშპ-ის ზრდა) და მათი ალბათობის შეწონვა ECL-ის მოდელებში ეკონომიკური ცვლადების გამოსაყენებლად.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა

კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვეთისა და

ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

საიჯარო ვადა

საიჯარო ვადა მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც აქტივის გამოყენების უფლების, ისე საიჯარო ვალდებულებების გაზომვაში.
მსჯელობები ხორციელდება იმის დასადგენად, არის თუ არა გონივრული რწმუნება, რომ გამოყენებული იქნება საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების ან ძირითადი აქტივის შეძენის ოფციონი, ან არ იქნება გამოყენებული საიჯარო ხელშეკრულების შეჩერების ვარიანტი, საიჯარო ვადაში შესატანი პერიოდების დადგენისას. საიჯარო ვადის დადგენისას, ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენებისათვის, განიხილება იჯარის დაწყების დღეს. განხილული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს აქტივის მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობისთვის; პირობების შედარება არსებულ საბაზრო განაკვეთებთან; მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრება; უკვე არსებული იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა; ხარჯები და აქტივის ჩანაცვლების მოშლა. კომპანია აფასებს, გონივრულია თუ არა გაგრძელების ოპციონის გამოყენება, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენება, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

თუ საპროცენტო განაკვეთი საიჯარო პირობებში მარტივად ვერ განისაზღვრება, ზღვრული სასესხო განაკვეთის დამატებითი სესხის პროცენტის დაანგარიშება ხდება მომავალი საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, რომ მოხდეს საიჯარო ვალდებულების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრა იჯარის დაწყების მომენტში. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რასაც კომპანია აფასებს, რომ მას მესამე მხარის გადახდა მოუწევს, სესხის მისაღებად საჭირო სახსრების მისაღებად საჭირო აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად, მსგავსი პირობებით, უსაფრთხოებით და ეკონომიკური გარემოთი. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რაც კომპანიის შეფასებით, მას მესამე მხარისთვის უნდა გადაეხადა მესამე მხარისგან სესხის მიღების შემთხვევაში რომ მიეღო მსგავსი აქტივი გამოყენების უფლებით, მსგავს პირობებში და ეკონომიკური გარემოში.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე ანგარიშები კომერციულ ბანკებში	257,107	4,128,126
მიმდინარე ანგარიშგები ეროვნულ ბანკში	13,453	-
ფული და ფულის ეკვივალენტები (გროსს)	**270,560**	**4,128,126**
შემცირებული გაუფასურების რეზერვით	(657)	(12,465)
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**269,903**	**4,115,661**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა მიმდინარე ანგარიშგებიდან, რომლებიც განთავსებულია ადგილობრივ კომერციულ ბანკებში, მიიღო საპროცენტო სარგებელი 55,453 ლარის ოდენობით (2023: 43,018), რომლის საპროცენტო განაკვეთი 6,5 პროცენტამდეა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პოლიტიკა - მოთხოვნებთან ფინანსური დაწესებულების და ფულის და ფულის ეკვივალენტებთან მიმართებაში

ბანკი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს, რომელიც შესაბამისობაშია ფასს 9-სთან, ფინანსურ დაწესებულებებში განთავსებულ სახსრებთან მიმართებაში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ფინანსური დაწესებულების საკრედიტო რისკის მიხედვით, რომელიც მოიცავს როგორც ხარისხობრივ ასევე რაოდენობრივ ინფორმაციას, ასევე საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ფაქტორებს.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის, ბანკი იყენებს გარე საკრედიტო რეიტინგებს, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო სარეიტინგო აგენტების მიერ, როგორიცაა "Fitch ratings, Moody's investors service and

standard & Poor’s” -მიერ. აღნიშნული რეიტინგების მიხედვით, ფინანსური დაწესებულებები კატეგორიების მიხედვით იყოფა “AAA” დან “B” კატეგორიამდე. დეფოლტის ალბათობა თითოეული კატეგორიის მიხედვით განისაზღვრება ბანკის მიერ და ყოველწლიურად ბანკის რისკ მართვის დეპარტამენტისა და რისკის კომიტეტის მიერ ექვემდებარება გადახედვას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გათვალისწინებულია მოსალოდნელი საკონტრაქტო ვადა, რომელიც დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

- 1 თვეზე ნაკლები;
- 1 თვიდან 1 წლამდე;
- 1 წელზე მეტი;

ფინანსურ დაწესებულებებთან არსებულ ნაშთებთან მიმართებაში, რომელთა რეიტინგი არის “C” ან ნაკლები, ან რომელთა საკრედიტო რეიტინგი არ არის ხელმისაწვდომი, გამოიყენება ინდივიდუალური შეფასება. აღნიშნული მიდგომის მიხედვით ბანკი აფასებს მეორე მხარის კრედიტუნარიანობას კონკრეტული შემთხვევების მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც შიდა ასევე სხვა დაკავშირებული ფაქტორები.

საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებულ სახსრებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იქმნება, ვინაიდან დეფოლტის ალბათობა ნულის ტოლია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კატეგორიები ვადიანობის და რეზერვის განაკვეთების მიხედვით, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებაში:

“Fitch” რეიტინგი	**< 1 თვეზე ნაკლები**	**1 თვიდან 1 წლამდე**	**> 1 წელზე მეტი**
AAA - A	0.005%	0.05%	0.20%
BBB	0.15%	0.20%	0.25%
BB	0.22%	0.27%	0.30%
B	0.28%	0.35%	0.60%

5. მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ

	31 დეკემბერი 2024	**31 დეკემბერი 2023**
მოთხოვნამდე დეპოზიტები 90 დღემდე	16,300,000	1,500,000
მისაღები პროცენტები	282,874	37,979
შეზღუდული ფული	332,378	-
სავალდებულო რეზერვი ეროვნულ ბანკში	54	-
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ, გროსი	**16,915,306**	**1,537,979**
შემცირებული მოსალოდნელი გაუფასურების ზარალი	(56,518)	-
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ, წმინდა	**16,858,788**	**1,537,979**

დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგენს 934,275 ლარს (2023: 281,285 ლარი).

სავალდებულო რეზერვი ეროვნულ ბანკში წარმოადგენს დეპოზიტებს ეროვნულ ბანკში. საკრედიტო ინსტიტუტები ვალდებული არიან განათავსონ ფულადი დეპოზიტები ეროვნულ ბანკში, რომლის მოცულობა დამოკიდებულია საკრედიტო ინსტიტუტის მიერ მოზიდულ სახსრებზე. შესაბამისი რეგულაციების მიხედვით ბანკის მხრიდან შეზღუდული თანხის განაღდება აკრძალულია.

შეზღუდული ფული წარმოადგენს თანხებს, რომლებიც განთავსებულია ადგილობრივ კომერციულ ბანკში, ვიზისა და მასტერქარდის მიმართ ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნამდე დეპოზიტები 90 დღემდე განთავსებულია ადგილობრივ კომერციულ ბანკებში მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე, რომელსაც ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი 12 პროცენტამდე.

6. ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სადეპოზიტო სერტიფიკატები ბანკებში	6,000,116	-
მისაღები პროცენტები სადეპოზიტო სერტიფიკატებზე ბანკებში	88,583	-
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით, გროსს	**6,088,699**	-
შემცირებული მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვით	(21,310)	-
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით, წმინდა	**6,067,389**	-

სადეპოზიტო სერტიფიკატები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ლარში დენომინირებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელიც გაცემულია ადგილობრივი კომერციული ბანკის მიერ და შეადგენს 6,000,116 ლარს, 3 თვიანი ვადით, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი11.5 პროცენტამდე. საპროცენტო შემოსავალი სადეპოზიტო სერტიფიკატებიდან შეადგენს 80,801 ლარს.

7. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული აღჭურვილობა	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერი	**6,649**	**-**	**-**	**6,649**
შეძენა	536,413	12,363	2,888	551,664
2023 წლის 31 დეკემბერი	**543,062**	**12,363**	**2,888**	**558,313**
შეძენა	840,299	61,516	34,625	936,440
გაყიდვა	(906)	-	-	(906)
2024 წლის 31 დეკემბერი	**1,382,455**	**73,879**	**37,513**	**1,493,847**
აკუმულირებული ცვეთა				
2022 წლის 31 დეკემბერი	**(81)**	**-**	**-**	**(81)**
ცვეთის ხარჯი	(83,758)	(1,923)	(551)	(86,232)
2023 წლის 31 დეკემბერი	**(83,839)**	**(1,923)**	**(551)**	**(86,313)**
ცვეთის ხარჯი	(203,626)	(7,789)	(1,406)	(212,821)
გაყიდულის ცვეთა	329	-	-	329
2024 წლის 31 დეკემბერი	**(287,136)**	**(9,712)**	**(1,957)**	**(298,805)**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერი	**6,568**	**-**	**-**	**6,568**
2023 წლის 31 დეკემბერი	**459,223**	**10,440**	**2,337**	**472,000**
2024 წლის 31 დეკემბერი	**1,095,319**	**64,167**	**35,556**	**1,195,042**

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული. კომპანიას არ აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები.

8. არამატერიალური აქტივები

	კაპიტალური დანახარჯები	პროგრამული უზრუნველყოფა	მობილური აპლიკაცია	ინტეგრაციის სისტემა	სულ
ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-
კაპიტალიზაცია	873,459	-	-	-	873,459
2023 წლის 31 დეკემბერი	**873,459**	-	-	-	**873,459**
კაპიტალიზაცია	2,350,760	-	-	-	2,350,760
შემენა	-	450,313	-	-	450,313
გადატანა	(2,534,018)	-	1,468,329	1,065,689	-
2024 წლის 31 დეკემბერი	**690,201**	**450,313**	**1,468,329**	**1,065,689**	**3,674,532**
აკუმულირებული ცვეთა					
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	(23,651)	-	-	(23,651)
2024 წლის 31 დეკემბერი	-	**(23,651)**	-	-	**(23,651)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	**873,459**	-	-	-	**873,459**
2024 წლის 31 დეკემბერი	**690,201**	**426,662**	**1,468,329**	**1,065,689**	**3,650,881**

კომპანიამ გადაწყვიტა საკუთარი რესურსით შექმნას კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის მოდულები, შესაბამისად კაპიტალური დანახარჯები მოიცავს ინტერნეტ ბანკისა შესაქმნელად გაწეულ კაპიტალიზირებად ხარჯებს. აღნიშნული ხარჯები მოიცავს იმ პერსონალის შრომის ანაზღაუების ხარჯს, ვინც კონკრეტულად ჩართულია მოცემულ პროექტში. ინტერნეტ ბანკის წინასწარი ბიუჯეტი განსაზღვრულია 2,400,000 ლარით, ბანკს აქვს მოლოდინი, რომ აღნიშნული პროდუქტი 2025 წლის ბოლომდე გააქტიურდება. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი, ხოლო ამორტიზაციის მეთოდად წრფივი მეთოდი.

ინტეგრაციის სისტემები წარმოადგენს ბანკის საკუთარი რესურსებით შექმნილ პროგრამას, რომლის ღირებულებაც შედგება შრომის კაპიტალური დანახარჯებისგან, სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი.

2024 წლის ბოლოსთვის ბანკმა დაასრულა მობილური აპლიკაციის დეველოფმენტი, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა წლის ბოლოსთვის, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი.

9. გადასახადები

	31 დეკემბერი 2024	**31 დეკემბერი 2023**
გადავადებული საგადასახადო აქტივი	1,057,943	542,315
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(109,971)	(8,425)
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი	**947,972**	**533,890**

დროებითი სხვაობები ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ ოდენობებს შორის წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს/ვალდებულებას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის

გადავადებული საგადასახადო აქტივი/ვალდებულება ძირითადად წარმოშობილია სხვაობებით ფიქსირებული აქტივების ფინანსურ და საგადახადაო ბაზებს შორის და მიმდინარე პერიოდის ზარალის შედეგად, რომელმაც ჯამში შეადგინა 947,972 ლარი (2023: 533,890 ლარი).

2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში (სსკ) ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ ცვლილებებს ბანკზე აქვს შემდეგი გავლენა: აღნიშნულ ცვლილებამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, რომ საბანკო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) რეჟიმით დაიბეგრებოდნენ 2023 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებამ განსაზღვრა, რომ დროითი განრიგი აღარ დაწესდება და მომავალში ეს სუბიექტები დაიბეგრებიან ისევ ძველი რეჟიმით, კერძოდ ერთობლივ შემოსავალსა და სსკ-ის მიერ გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის მიხედვით (97-ე მუხლი, მე-12 ნაწილი).

ასევე, სსკ-ის 98-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს მოგების გადასახადის განაკვეთს, დაემატა ახალი მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის დასაბეგრი მოგება დაიბეგრება 20 პროცენტით. მიუხედავად იმისა, რომ დაბეგვრა მოხდება მოგების ე.წ. ძველი რეჟიმის თანახმად, შეიცვალა საფინანსო სფეროსთვის სსკ-ით განსაზღვრული შემოსავლისა და ხარჯის კერძოდ, სსკ-ის 141-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს დარიცხვის მეთოდით შემოსავლის მიღების მომენტს, დაემატა ახალი მე-5 ნაწილი, რომელმაც განსაზღვრა, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან საბანკო დაწესებულებამ, საკრედიტო კავშირმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ სესხებზე დარიცხული პროცენტები შემოსავლად უნდა აღიარონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. რაც შეეხება გაცემულ სესხებზე რეზერვების გამოქვითვას, სსკ-ის განახლებული 109-ე მუხლის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული პირები ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებს გამოიქვითავენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, ნაცვლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესისა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მენეჯმენტის შეფასების მიხედვით, ბანკმა გადავადებულ საგადასახადო აქტივად აღიარა მხოლოდ ის ნაწილი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება მომავალში გენერირებული წმინდა მოგებიდან შესაბამისი გადასახადების დასაფარად. გადავადებული საგადასახადო აქტივის რეკონსილაცია ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

გადავადებული გადასახადის კომპონენტები	**დროებითი სხვაობები**	**2024 DTA/(DTL)**	**დროებითი სხვაობები**	**2023 DTA/(DTL)**
ძირითადი საშუალებები	(172,811)	(34,562)	(42,127)	(8,425)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(246,766)	(49,353)	12,465	2,493
არამატერიალური აქტივები	(130,282)	(26,056)	170,000	34,000
საგადასახადო ზარალი და სხვა ბალანსები	8,278,612	1,655,722	2,529,110	505,822
სულ	**7,728,754**	**1,545,751**	**2,669,448**	**533,890**
გამოსაყენებული საგადასახადო აქტივი	**-**	**947,972**	**-**	**533,890**
გამოუყენებელი საგადასახადო აქტივი	**-**	**597,778**	**-**	**-**

გადავადებული საგადასახადო აქტივის მოძრაობა ნაჩვენებია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	**31 დეკემბერი 2023**
საწყისი ნაშთი	533,890	-
ახალი საგადასახადო აქტივი მიმდინარე წლის	1,011,861	533,890
საბოლოო ნაშთი	1,545,751	533,890
გამოსაყენებული საგადასახადო აქტივი	**947,972**	**533,890**
გამოუყენებელი საგადასახადო აქტივი	**597,778**	**-**

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის რეკოსილაცია ნაჩვენებია შემდეგნაირად:

Description	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სააღრიცხვო მოგება დაბეგვრამდე	5,749,502	2,608,424
საგადასახადო განაკვეთი (20%)	1,149,900	521,685
დროებითი სხვაობების ეფექტი	(138,039)	28,068
მუდმივი სხვაობების ეფექტი	-	(15,863)
აუღიარებელი საგადასახადო აქტივი	(597,778)	-
მოგების გადასახადი ხარჯი	**414,083**	**533,890**

10. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	535,380	-
1 წლამდე ლიცენზიისთვის გადახდილი ავანსი	300,229	37,170
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ავანსი	196,361	-
სხვა გადახდილი ავანდები	170,428	13,828
სულ სხვა აქტივები	**1,202,398**	**50,998**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს ბანკთან დაკავშირებულ ოპერაციებს და მარკეტინგულ მომსახურებას 342,152 და 116,305 ლარის ოდენობით. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1 წლამდე ლიცენზიისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისთვის გადახდილ სახსრებს.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	304 938	-
მომწოდებლებთან არსებული ვალდებულებები	268 352	12,882
სხვა ვალდებულებები	**573,290**	**12,882**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებლებთან არსებული ვალდებულებები მოიცავს სატრანზიტო ანგარიშებსა და არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებულ გადასახადებს, რომელიც წარმოდგენილია 200,967 და 24,800 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

11. საწესდებო კაპიტალი

ბანკის საწესდებო კაპიტალი მოიცავს 2 კლასის აქციებს: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული კლასის აქციებს.

- ჩვეულებრივი კლასის აქციები წარმოადგენს საკუთრების უფლებას კომპანიაში და მფლობელებს აძლევს ხმის უფლებას, 1 აქცია იძლევა 1 ხმის უფლებას;
- პრივილეგირებული კლასის აქციებს, მეორემხრივ არ აქვს ხმის უფლება, თუმცა აქვს სხვა პრივილეგირებული უფლებები, როგორიცაა მაგალითად დივიდენდის განაწილებისას ან ლიკვიდაციისას, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის მიერ;

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვეულებრივი კლასის აქციების ნომინალური ღირებულება შეადგენს 245 ლარს, ხოლო პრივილეგირებული კლასის აქციების ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. კომპანიის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი მოიცავს 210,000 ცალ აქციას, რომლის ნომინალური

ღირებულება 50,937,600 ლარია. საიდანაც, 37,074,100 განაღდებულია აქციონერების მიერ, რომელიც წარმოადგენს აქციონერების მიერ შევსებულ კაპიტალს. (2023: 9,707,500 ლარი)

ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით, წერილის რომელიც დათარიღებულია 2025 წლის 21 მარტით, ბანკი ვალდებულია საწესდებო კაპიტალი 50 მილიონ ლარამდე გაზარდოს მეოთხე ფაზაში შესვლიდან 8 თვის განმავლობაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის ბანკი არის მე-3 ფაზაში.

სააქციო კაპიტალის სტრუქტურა და აქციონერების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2024 წლის 31 დეკემბერი	ავტორიზებული კაპიტალი	პრივილეგირებული აქციები	განაღდებული კაპიტალი	ნომინალური ღირებულება	სულ	აქციონერთა წილი ავტორიზებული კაპიტალის მიხედვით	აქციონერთა წილი განაღდებული კაპიტალის მიხედვით
ვოლოდიმირ ნოსოვი	103,950	-	64,310	245	15,756,000	50.00%	42.50%
სულხან პაპაშვილი	63,409	-	53,868	245	13,197,660	30.50%	35.60%
ლაშა პაპაშვილი	40,541	-	33,136	245	8,118,340	19.50%	21.90%
ნანა ქებურია	-	2,100	2,100	1	2,100	100%	100%
სულ	**207,900**	**2,100**	**153,414**		**37,074,100**		

2023 წლის 31 დეკემბერი	ავტორიზებული კაპიტალი	პრივილეგირებული აქციები	განაღდებული კაპიტალი	ნომინალური ღირებულება	სულ	აქციონერთა წილი ავტორიზებული კაპიტალის მიხედვით	აქციონერთა წილი განაღდებული კაპიტალის მიხედვით
ვოლოდიმირ ნოსოვი	103,950	-	60,659	80	4,852,700	50.00%	50.00%
სულხან პაპაშვილი	63,409	-	50,178	80	4,014,200	30.50%	41.00%
ლაშა პაპაშვილი	40,541	-	10,481	80	838,500	19.50%	9.00%
ნანა ქებურია	-	2,100	2,100	1	2,100	100%	100%
სულ	**207,900**	**2,100**	**123,418**		**9,707,500**		

12. საპროცენტო შემოსავალი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო შემსავალი ბანკში განთავსებული სახსრებიდან	989,728	324,303
სულ საპროცენტო შემოსავალი	**989,728**	**324,303**

საპროცენტო შემოსავლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ვადიანი დეპოზიდებიდან	356,584	281,285
ოვერნაით დეპოზიდებიდან	123,021	-
სადეპოზიტო სერტიფიკატიდან	454,670	-
მიმდინარე ანგარიშებიდან	55,453	43,018

სულ საპროცენტო შემოსავალი	**989,728**	**324,303**

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	**2023**
თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	4,737,321	2,045,992
საიჯარო ხარჯი	444,799	200,140
ლიცენზიის მოსაკრებელი	298 880	237,170
საკონსულტაციო და მომსახურების ხარჯი	247,773	128,770
ცვეთა და ამორტიზაცია	236,473	86,232
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	163,515	3,273
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	123,079	34,549
საოფისე ხარჯი	39,538	30,651
მივლინების ხარჯი	9,992	29,459
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	8,338	2,426
წარმომადგენლობითი ხარჯი	6,074	1,524
დეპოზიტის დაზღვევის ხარჯი	5	100,000
სხვა ხარჯი	89,137	3,960
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	**6,404,924**	**2,904,146**

აუდიტის ხარჯი ხელშეკრულებით შეადგენს 28,000 ლარს, დღგს-ს ჩათვლით, საიდანაც ბანკს გადახდილი აქვს 14,000 ლარი წინასწარ 2024 წლის ოქტომბრის ხელშეკრულების მიხედვით.

14. პირობითი ვალდებულებები

ეროვნული ბანკის მოთხოვნები - სებ-ის 2024 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი ინსტრუქციებით განსაზღვრულ პირობებში, ციფრულ ბანკს უფლება აქვს განახორციელოს საბანკო საქმიანობა ან/და მათთან დაკავშირებული მომსახურება „კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით რეალურ გარემოში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ბანკი არის მე-3 ფაზაში და აქვს ვალდებულება საწესდებო კაპიტალის შევსების 50 მილიონ ლარამდე.

სს ჰეშ ბანკი ოპერირებდა სატესტო რეჟიმში 22 თვე და 17 დღე, საბანკო ლიცენზიის მიღებიდან (03.11.2023) და შეზღუდული ქონდა საბანკო აქტივობების განხორციელება რეალურ გარემოში.

იურიდიული საკითხები – 2024 წლის განმავლობაში ბანკს არ აქვს სასამართლო დავები. ხელმძღვანელობა იყენებს შიდა და გარე პროფესიონალების კონსულტაციებს და მიიჩნევს, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა იურიდიულ საკითხებთან დაკავიშირებით, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ბანკის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ბანკს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ბანკის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სხვა პირობითი ვალდებულებები გარდა ზემოთ წარმოდგნილი ინფორმაციისა.

15. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვნებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს. სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი 1-დან 3-მდე იერარქიის დონის მიხედვით:

	2024			
	სამართლიანი ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს			
	1 დონე	**2 დონე**	**3 დონე**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	269,903	-	-	269,903
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით	-	6,067,389	-	6,067,389
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	-	16,858,788	-	16,858,788
სულ ფინანსური აქტივები	**269,903**	**22,926,177**	**-**	**23,196,080**
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	-	-	573,290	573,290
მომხმარებლებთან არსებული ვალდებულებები	-	-	6,432	6,432
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	-	10,987	10,987
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**590,709**	**590,709**

	2023			
	სამართლიანი ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს			
	1 დონე	**2 დონე**	**3 დონე**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,115,661	-	-	4,115,661
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	-	1,537,979	-	1,537,979
სულ ფინანსური აქტივები	**4,115,661**	**1,537,979**	**-**	**5,653,640**
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	-	-	12,882	12,882
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	-	622	622

სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**13,504**	**13,504**

16. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
    - საპროცენტო რისკი
    - სავალუტო რისკი

ბანკის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფს მის დაცვას.

სამეთვალყურეო საბჭო საბოლოოდ პასუხისმგებელია რისკების განსაზღვრასა და კონტროლზე; თუმცა, არსებობს ცალკეული დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რისკების მართვასა და მონიტორინგზე.

დირექტორთა საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობასა და მისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიმოხილვაზე, აგრეთვე არსებითად დიდი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2024	**31 დეკემბერი 2023**
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	269,903	4,115,661
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით	6,067,389	-
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	16,858,788	1,537,979
სულ ფინანსური აქტივები	**23,196,080**	**5,653,640**
ფინანსური ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	573,290	12,882
მომხმარებლებთან არსებული ვალდებულებები	6,432	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	10,987	622
სულ ფინანსური ვალდებულებები	**590,709**	**13,504**

საკრედიტო რისკი

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობებიდან გამომდინარე.

ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებლზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

გაცემული სესხების გაუფასურების ხარისხის დასადგენად კომპანია იყენებს 3 ეტაპიან მოდელს. აღნიშნული მოდელის მიხედვით გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარების შემდგომ ხდება სესხების გაუფასურების შეფასება.

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ხვდება პირველ კატეგორიაში და შემდგომ მუდმივად ხდება მასზე დაკვირვება და მონიტორინგი.
- თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეინიშნება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი/არსებითი ზრდა, მსგავსი სესხები გადადის მეორე კატეგორიაში, მაგრამ ავტომატურად არ იგულისხმება, რომ უფასურდება საკრედიტო რისკით.
- თუ ფინანასური ინსტრუმენტი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, ავტომატურად ხვდება მესამე კატეგორიაში.
- პირველ კატეგორიაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება 12 თვიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წილით ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი ვადის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში. მეორე და მესამე კატეგორიაში მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ფასდება ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადებთან მიმართების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანია პოლიტიკას ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებაზე.

ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
თავდაპირველი აღიარება	თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა	საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები
12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგები	მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან ხელმძღვანელობის მოსაზრებით კომპანიის ფინანსური აქტივები - ფული და ფულის ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის წარმოადგენს „არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებული აქტივების კატეგორიას" და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ აქტივებზე 0-ს უტოლდება.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულეები. ეს ეხება საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი დაფარვის თარიღების საფუძველზე.

სავალდებულო მოთხოვნები ლიკვიდურობასთან დაკავშირებით

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულება (#70/04 დებულება) სებ-მა დაამტკიცა და გამოაქვეყნა 2017 წლის 15 მაისს და ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება ბაზელ III-ის პრინციპების თანახმად, თუმცა უფრო მაღალი კოეფიციენტებიც დასაშვებია. სებ-ი ყველა ბანკს ავალდებულებს, რომ ყოველდღიურად შეინარჩუნონ მინიმუმ 75.0%-იანი

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ლარში, 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში და 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი მთლიანობაში. ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR) ეხება ფინანსური ინსტიტუტების მიერ საკუთრებაში არსებული მაღალლიკვიდური აქტივების პროპორციას, რათა უზრუნველყოს მათი მუდმივი უნარი შეასრულონ მოკლევადიანი ვალდებულებები. ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR) არის ბაზელ III-ის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ბანკებს მოეთხოვებათ შეინახონ მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები, რაც საკმარისია ფულადი სახსრების გადინების დასაფინანსებლად 30 დღის განმავლობაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი აკმაყოფილებს ზემოთ წარმოდგენილ მოთხოვნებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	269,903	-	-	-	269,903
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით	6,067,389	-	-	-	6,067,389
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	16,858,788	-	-	-	16,858,788
სულ ფინანსური აქტივები	**23,196,080**	**-**	**-**	**-**	**23,196,080**
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ვალდებულებები	573,290	-	-	-	573,290
მომხმარებლებთან არსებული ვალდებულებები	6,432	-	-	-	6,432
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	10,987	-	-	-	10,988
სულ ფინანსური ვალდებულებები	**590,709**	**-**	**-**	**-**	**590,710**
ლიკვიდურობის პოზიცია	**22,605,371**	**-**	**-**	**-**	**22,605,371**
აკუმულირრებული ლიკვიდურობის პოზიცია	**22,605,371**	**22,605,371**	**22,605,371**	**22,605,371**	

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,115,661	-	-	-	4,115,661
მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	1,537,979	-	-	-	1,537,979
სულ ფინანსური აქტივები	**5,653,640**	**-**	**-**	**-**	**5,653,640**
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ვალდებულებები	12,882	-	-	-	12,882
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	622				622
სულ ფინანსური ვალდებულებები	**13,504**	**-**	**-**	**-**	**13,504**
ლიკვიდურობის პოზიცია	**5,640,136**	**-**	**-**	**-**	**5,640,136**
აკუმულირრებული ლიკვიდურობის პოზიცია	**5,640,136**	**5,640,136**	**5,640,136**	**5,640,136**	

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ბანკი ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გაბატონებული დონის რყევების ზემოქმედებას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. საპროცენტო მარჟა შეიძლება გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი მოძრაობების წარმოქმნის შემთხვევაში.

ბანკი აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთებს თავისი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ბანკს არ გააჩნია პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები, თუმცა ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში ბანკს აქვს დეპოზიტები, რომლებიც პროცენტიანია და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებია, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის რისკი ბანკისთვის არ არის მნიშვნელოვანი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას ვალუტის კურისის ცვლილების შედეგად. კომპანიის პოზიცია სავალუტო კურსების ცვლილების რისკთან მიმართენაში ძირითადად დაკავშირებულია კომპანიის საოპერაციო აქტივობებთან (როდესაც შემოსავლისა და ხარჯის ოპერაციები დენომინირებულია კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივები/ვალდებულებები დენომინირებულია ასევე უცხოურ ვალუტაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით	მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	სულ
ლარი	167,241	6,067,389	16,535,529	22,770,159
ევრო	25,325	-	17,598	42,924
აშშ დოლარი	77,336	-	305,661	382,997
სულ	**269,903**	**6,067,389**	**16,858,788**	**23,196,080**

ფინანსური აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	მოთხოვნები ფინანსური დაწესებულებების მიმართ	სულ
ლარი	4,114,931	1,539,463	5,654,394
აშშ დოლარი	730	-	730
სულ	**4,115,661**	**1,539,463**	**5,655,124**

შემდეგი ცხრილი ასახავს სენსიტიურობის ანალიზს მოგება ზარალისა და კაპიტალისთვის სავალუტო კურსის ცვლილების გათვალისწინებით ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში.

	31 დეკემბერი 2024
	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 10% - ით	38,300
აშშ დოლარის გაუფასურება 10% - ით	(38,300)
ევროს გამყარება 10% - ით	4,292
ევროს გაუფასურება 10% - ით	(4,292)

	31 დეკემბერი 2023
	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 10% - ით	73
აშშ დოლარის გაუფასურება 10% - ით	(73)

კომპანიის კაპიტალზე სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების გარდა სხვა ფაქტორები არ ახდენს გავლენას. გამოთვლები გაკეთებულია მხოლოდ უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე, რომელიც განსხვავდება მისი ფუნქციონალური ვალუტისგან. კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი უცხოური ვალუტის რისკი.

17. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს აქციონერები საკმარისი ფინანსური რესურსებით და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

საქართველოს საბანკო სექტორისათვის განსაზღვრული კაპიტალის მოთხოვნები ეფუძნება ბაზელ III-ის სტანდარტსა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციისა და 2013/36/EU დირექტივას (CRR-CRD package).

კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით", რომლის თანახმადაც, პილარ 1-ის ფარგლებში, მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET 1) კოეფიციენტი 4.5%;
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1+ AT 1) - 6%;
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1+AT1 +Tier 2) 8%;

"კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით" დაწესებული პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნები იმ რისკებისთვის, რომელსაც არ მოიცავს პილარ 1, მათ შორის, იმ საბაზრო და საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც არ შედის პილარ 1-ში, ასევე კონცენტრაციის, საპროცენტო, ლიკვიდობის, სტრატეგიული და რეპუტაციული რისკებისთვის და სხვა. საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესში გამოვლენილი რისკებზე საპასუხოდ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს უწესებს მოთხოვნას კაპიტალის დამატებით ბუფერებზე. აღნიშნული დამატებითი ბუფერის განსაზღვრა რეგულირდება "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესით".

დამატებით, კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის (2,5%-ის ოდენობით), კონტრციკლური ბუფერისა (0-2.5% ფარგლებში) და სისტემურობის ბუფერისგან.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების გაანგარიშება ხდება ყოველთვიურად ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის ბაზელ III ჩარჩოს შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებდა სებ-ის მიერ დაწესებულ კაპიტალის კოეფიციენტების ადეკვატურობის მოთხოვნებს. დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

	ბანკის არსებული კოეფიციენტი	ბანკის მოთხოვნა
ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET 1)	75,01%	9,55%
პირველადი კაპიტალი (Tier 1)	75,03%	11,05%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	75,03%	13,06%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებდა სებ-ის მიერ დაწესებულ კაპიტალის კოეფიციენტების ადეკვატურობის მოთხოვნებს. დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

	ბანკის არსებული კოეფიციენტი	ბანკის მოთხოვნა
ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET 1)	22,69%	7,37%
პირველადი კაპიტალი (Tier 1)	22,70%	8,87%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	22,70%	10,87%

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო”).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც განხორციელდა პერიოდის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024	2023
განხორციელებული ტრანზაქციები		
საიჯარო ხარჯი	444,799	200,140
საკომუნიკაცია და კომუნალური ხარჯი	40,285	12,315

საბალანსო ნაშთები	**2024**	**2023**
გადახდილი ავანსები	41,391	11,967
სხვა ვალდებულებები	3,522	3,637

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა რგოლის ანაზღაურება:

	2024	2023
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება		
ხელფასი და ბონუსი	1,515,256	1,377,696

სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურებამ 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 135,510 ლარი.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, აუდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე, აქციონერებმა დამატებით განახორციელეს საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანები 6,202,750 ლარის ოდენობით.

სხვა მნიშვნელოვან მოვლენას ან გარემოებას, რომელიც მოახდენდა გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე და საჭიროებს წარდგენას არ მომხდარა.